საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ, იკითხეთ

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 70 (1086) | შაბათი, 24 ივნისი, 1995 წელი. | ფასი 200 000 კუპონი.

სამძიმარი

თბილისი, საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

თქვენო აღმატებულებავ, სულით სიღრმემდე შეგვძრა საქართველოს თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის, თქვენი უახლოესი თანამებრძოლის სოლიკო ხაბეიშვილის მხეცურმა მკვლელობამ. მე, ისევე როგორც ბევრმა ჩემმა კოლეგამ იუნესკოში, რომლებიც შევხვედრივართ მას ერთობლივი პროექტების განხილვისას, ვიცით, რომ იგი ძალ-ღონესა და ენერგიას არ იშურებდა თქვენთან ერთად დემოკრატიის და საქართველოს აღორძინების საქმისათვის. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ სოლიკო ხაბეიშვილი იყო ხალხთა შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების მგზნებარე ქომაგი. ამ ბოლო თვეებში, მან, როგორც „შეუწყნარებლობის წინააღმდეგ სოლიდარობისათვის, კულტურათა დიალოგისათვის“ თბილისის საერთაშორისო ფორუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, პირადად ბევრი რამ გააკეთა, რათა ფორუმში [illegible]სება მთელი მსოფლიოს კულტურის ბევრი თვალსაჩინო მოღვაწეს.

დარწმუნებული ვართ, რომ თბილისის საერთაშორისო ფორუმი დაადასტურებს ჩვენ მიერ შეუწყნარებლობის საერთო უარყოფას. შეუწყნარებლობა შობს სიძულვილსა და ძალმომრეობას, რომელთა მსხვერპლი ყოველთვის ადამიანია.

მიიღეთ ჩვენი გულწრფელი სამძიმარი და გთხოვთ გადასცეთ ეს სოლიკო ევტიხის ძის ოჯახს, და მძღოლის აკაკის ოჯახს, რომელიც მასთან ერთად დაიღუპა.

გულწრფელად და გულითადად თქვენი

ფედერიკო მაიორი,
იუნესკოს გენერალური დირექტორი.

პარიზი,
1995 წლის 21 ივნისი.

გაძლიერდა სამხედრო ობიექტების დაცვა

22 ივნისს ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის პრესცენტრმა გაავრცელა განცხადება, რომ რუსეთის სამხედრო ობიექტებზე, სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახების წევრებზე ჩეჩენ ბოევიკთა თავდასხმის თავიდან აცილების მიზნით ხორციელდება მათი დაცვის დამატებითი ღონისძიებანი — დანაღმვა, მიცემულია მითითება, საჭიროების შემთხვევაში ცეცხლიც კი გახსნან. ყველა ეს ღონისძიება დაკავშირებული არ არის საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის ჯარების რაიმე სამხედრო საქმიანობის გააქტიურებასთან.

საქინფორმი.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

1 ივლისი – ფინანსური რუბიკონი:

ძვირდება პური, გვეზრდება ხელფასი, იაფდება ელექტროენერგია; ელექტროენერგიასა და გაზზე ჩვენი დავალიანება იყინება!

21 ივნისს გაიმართა მინისტრთა კაბინეტის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია.

სხდომაზე განიხილეს და მიიღეს დადგენილება პურის საცალო ფასების შესახებ. დადგენილების თანახმად **პირველი ივლისიდან ერთი კილოგრამი პურის საშუალო ფასი გახდება სამასი ათასი კუპონი.** ყოველი ერთი ტონა გადამუშავებული ხორბლიდან ბიუჯეტში ჩაირიცხება 160 მილიონი კუპონი. ყოველი ერთი ტონა იმპორტული ფქვილიდან — 225 მილიონი კუპონი.

აღინიშნა, რომ პურის ფასის გაზრდა დადებით გავლენას მოახდენს ქვეყნის ბიუჯეტის შევსების საქმეში. ითქვა, რომ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პურპროდუქტებზე ფასების რეგულირების საკითხს და აღნიშნული ღონისძიება მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით განხორციელდა.

მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, მთავრობის გადაწყვეტილებით საბიუჯეტო ორგანიზაციებში **პირველი ივლისიდან ხელფასები 25 პროცენტით გაიზრდება.** პრემიერ-მინისტრმა დაავალა შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებს, რომ მათ უზრუნველყონ ხელფასის გაცემა ავანსის სახით პირველ ივლისამდე, ვიდრე მოხდება პურპროდუქტებზე ფასების გაზრდა.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით **25 ათასი კუპონით განსაზღვრა ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ღირებულება ნაცვლად 45 ათასისა.** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება აგრეთვე გადაწყვეტილება **პირველი მაისის მდგომარეობით ელექტროენერგიისა და ბუნებრივ გაზზე დავალიანების გაყინვის შესახებ.**

დადგენილების მიხედვით პურპროდუქტების კორპორაციამ ჰუმანური დახმარებით შემოტანილი ფქვილის 10 პროცენტი და ხორბლის 5 პროცენტი აუქციონზე უნდა გაყიდოს. სპეციალისტთა აზრით, მიღებული გადაწყვეტილებები ხელს შეუწყობს კერძო სექტორის განვითარებას.

პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის კორპორაციის თავმჯდომარემ ანზორ ბურჯანაძემ მოითხოვა ფქვილისა და პურის თვითღირებულებაში დღეს არსებული რენტაბელობის დონის 2 პროცენტიდან 7 პროცენტამდე გაზრდა.

სხდომაზე განიხილეს და მიიღეს დადგენილება თეთრი წყაროს რაიონის მანგლისის სახელმწიფო მეურნეობის საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კორპორაციისათვის გადაცემის შესახებ, სხვა საკითხები.

საქინფორმი.



ჯაბარ ლომაძის ფოტო.

„ბადე—95“-ს ამოჰყვა...

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 22 ივნისს რესპუბლიკაში დაიწყო მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის ფართომასშტაბიანი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება კოდური დასახელებით „ბადე-95“.

უკვე გამოვლენილია დიდი რაოდენობით დანაშაული და მათში ეჭვმიტანილი პირები: მარტო დედაქალაქში გამოავლინეს ქურდობისა და ყაჩაღობის 11 ფაქტი, დაკავებულია 13 ძებნილი და 7 ნარკოტიკების მომხმარებელი, ჩამორთმეულია ცეცხლსასროლი იარაღი — 4 ავტომატი, 5 პისტოლეტი, 4 სანადირო თოფი; ფეთქებადი ნივთიერება, მათ შორის, — 9 ხელყუმბარა, ტყვიაწამალი, 258 ვაზნა. ჩამორთმეულია ნარკოტიკული ნივთიერებები — ოპიუმი, მარიხუანა და ანაშა. დაკავებულია 49 დამნაშავე პირი.

ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება „ბადე-95“ გრძელდება.

მემკვიდრეობა

ფედერალური თუ უნიტარული სახელმწიფო?

დღეს ეს საკითხთა საკითხად იქცა საქართველოში, კამათობენ კამათოდ, შეიძლება ახლაც ითქვას ცვივა არგუმენტების დამსხვრეული ხმლები ბაიყრობის სარბიელზე და თანდათან იწმინდება აზრი, იხვეწება საერთო იდეაც, კონკრეტული წინადადებაც.

თედო ნინიძეს, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს თავისი სათქმელი აქვს:

— ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელზეც საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტია აგებული, არის ფედერალიზმის პრინციპი. აქ, კერძოდ, ნათქვამია, რომ საქართველო არის ფედერალურ საწყისებზე აგებული სახელმწიფო. პროექტის მთელი თავი ეძღვნება ფედერალური მოწყობის საკითხს, დასახელებულია საქართველოს ფედერაციული სახელმწიფოს სუბიექტები, ნათქვამია, რომ აფხაზეთი, აჭარა, ცხინვალის ოლქი და მხარეები არის ფედერაციის სუბიექტები, კონკრეტულად დახასიათებულია თითოეული სუბიექტის ტიპი, იმიტომ, რომ აფხაზეთსა და სხვა სუბიექტებს პროექტით ერთნაირი უფლებები არა აქვთ.

ამ პრინციპს, საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობისადმი ასეთ მიდგომას უკვე ბევრი ოპონენტი გამოუჩნდა. ის პოლიტიკური მოღვაწეებიც კი, რომლებიც ადრე იზიარებდნენ საქართველოს ფედერალური მოწყობის იდეას, დღეს საპირისპირო პოზიციაზე დადგნენ, სხვადასხვა სუბიექტური თუ, მათი გაგებით, ობიექტური მოსაზრებიდან გამომდინარე.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არგუმენტი ფედერალური პრინციპის მოწინააღმდეგეებისა არის მოსაზრება, თითქოს, საქართველოს ასეთი მოწყობა ნაკარნახევია გარედან და იგი უცხოა ჩვენი პოლიტიკური აზროვნების ისტორიისათვის, რადგან ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთაგან და მეცნიერთაგან არავის მსგავსი რამ არასოდეს გამოუთქვამს.

კონსტიტუციის პროექტის ავტორებს, როდესაც ქვეყნის ფედერალურ მოწყობაზე ლაპარაკობენ, რასაკვირველია, გათვალისწინებული აქვთ ქვეყნის საშინაო მდგომარეობა, საგარეოც, მაგრამ უგულებელყოფა ქართულ-პოლიტიკური აზრისა არც უცდიათ.

ფედერაციის იდეა საქართველოს პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში რომ აპრობირებული, პოლემიკაში ნაწრთობი იდეაა, ამის შესანიშნავ საბუთად გამოდგება წერილები, რომლებსაც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მეშვეობით მივაწვდით მკითხველებს, ჩვენს საზოგადოებრიობას.

მთავარი და არსებითი, მე მგონი, ისაა, რომ ამ წერილების ავტორია ქართველი მამულიშვილი, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, რომლის გარეშეც, ალბათ, არ მოიაზრება მეოცე საუკუნის დასაწყისის პოლიტიკური აზროვნების ისტორია, მგზნებარე პატრიოტი მიხეილ (მიხაკო) წერეთელი.

საგულისხმოა არის ისიც, რომ ეს წერილები დაწერილია ოცდაათიანი წლების დასაწყისში პარიზში და გამოქვეყნებულია ქართველ პატრიოტთა ორგანოში „თეთრი გიორგი“.

ამ გაზეთის მესვეურთა შეხედულებით „თეთრი გიორგი“ იყო ქართული ემიგრანტული მოძრაობა, რომელიც უპირისპირდებოდა სხვა პარტიებსა და პოლიტიკურ მოძრაობებს და მისი ძირითადი პათოსი საქართველოს მოწყობაზე ფიქრი და განსჯა გახლდათ.

ისევე, როგორც ორიოდ წლის წინათ სოლჟენიცინმა რუსულ პრესაში გამოაქვეყნა წერილების ციკლი „Как обустроить Россию“, „თეთრ გიორგის“ პუბლიკაციები ქართველ პატრიოტთა ნაფიქრალ-ნააზრევია თავიანთი სამშობლოს სახელმწიფოებრივ მოწყობაზე.

ამ წერილებში გაცხადებულია ერთი იდეა: ფედერაციულ საწყისებზე საქართველოს მოწყობა ქვეყნის მართვის ხელოვნური მეთოდი კი არ არის, არამედ ორგანულად დამახასიათებელი და ნიშანდობლივია საქართველოსათვის. ფედერაცია როგორც პრინციპი ნაკარნახევია საქართველოს პოლიტიკური ორგანიზმის სოციალური, ეთნოგრაფიული შინაარსით.

აქვე ნახავთ ასეთ საინტერესო მოსაზრებებს: ერთადერთი გზა და საშუალება აფხაზეთის საკითხის მოგვარებისა, არის ფედერაცია, რომ, მართალია, საქართველო არასოდეს ყოფილა გაფორმებული როგორც ფედერაცია, მაგრამ მაშინაც კი, როდესაც იგი ძლიერი სახელმწიფო იყო, ქვეყნის მართვა-გამგებლობის პრინციპები მაინც და მაინც ფედერალური იყო.

თუნდაც იმ მომენტის ხაზგასმა რად ღირს, რომ საქართველოს უძლიერესი მეფენი—თამარი, დავით აღმაშენებელი და სხვანი, როდესაც რომელიმე სამთავროს თავიანთი იურისდიქციის, თავიანთი ხელმწიფების ქვეშ აქცევდნენ, ამ სამთავროებში არსებული მართვა-გამგეობის წესებს უცვლელად ტოვებდნენ, არც მთავარს აძლევდნენ ხელს. ეს ქვეყნები უცვლელად შემოდიოდნენ საქართველოში როგორც სრულფასოვანი ორგანიზმები ერთი დიდი ორგანიზმისა.

საქართველოს ერთიანობა საქართველოს სიმარტივეს არ ნიშნავს. ერთიანობა ყოველთვის რთულის ერთიანობა არის. იმდენად, რამდენადაც ჩვენი ქვეყანა რთული ორგანიზმია, მისთვის უნიტარიზმი არის დამღუპველი. პრინციპი ცენტრალიზაციისა, უნიტარიზაციისა საქართველოსთვის მიუღებელია.

ამ წერილების ავტორის აზრით უნიტარიზმი და ცენტრალიზაცია საქართველოში გარეგანმა ძალამ შემოიტანა. ამ ძალის იდეების გამგრძელებლები იყვნენ სოციალ-დემოკრატები, შემდეგ ბოლშევიკები, რომლებმაც შექმნეს უკიდურესი ცენტრალიზმი —საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზმში თბილისი ისეთ ქალაქად იქცა, როგორსაც ჩვენ ვხედავთ.

აქ სხვა პრობლემებსაც ესმება ხაზი: საქართველო კულტურულადაც მრავალფეროვანი ქვეყანაა და თითოეული კუთხე უნდა განვითარდეს ისე, რომ თავისი თვითმყოფადი, სახე არ დაკარგოს.

დემოკრატიის უმაღლესი საფეხურია ის, როდესაც საქართველოს ამა თუ იმ კუთხის ხელმძღვანელობას ირჩევს ამ კუთხის ხალხი და ხალხივე აკონტროლებს მათ. ეს ხალხი მონაწილეობს როგორც საკუთარი კუთხის, ასევე მთელი ქვეყნის მართვა-გამგეობაში. ამით დაზღვეული ვიქნებით იმ პროვინციული ტენდენციებისგან, რომლებიც დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოს უპირატეს წარმომადგენელთა მიერ რესპუბლიკის ხელისუფლების უზურპირებას გულისხმობდა: ხელისუფლების სათავეში იქნება იმდენი წარმომადგენელი, რამდენიც ამა თუ იმ მხარეს ეკუთვნის როგორც ფედერაციის სუბიექტს, მაშასადამე, — იქნება თანაბარი.

ფრიად საყურადღებოა, რომ როგორც მიხაკო წერეთელი, ასევე სხვა ავტორები საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ ისტორიულ ასპექტში ივანე ჯავახიშვილის შრომებს, მის მოსაზრებებს ეყრდნობიან.

მაშასადამე, ფედერალიზმის იდეა ვინმეს მოგონილი, თვითშემოქმედების ნაყოფი კი არ არის, არამედ საქართველოსთვის ორგანიულად დამახასიათებელი გზა და საქართველოს პოლიტიკური აზროვნებისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ელემენტია.

* * *

„საქართველოს რესპუბლიკის“ დღევანდელი ნომრის მესამე გვერდზე გთავაზობთ მიხეილ წერეთლის წერილს „ფედერატიული საქართველო“.

მეანაბრეთა ზარალი ნაწილობრივ კომპენსირებული იქნება

22 ივნისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური — ედუარდ შევარდნაძე შეხვდა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ცალკეული კომპანიებისა და ბანკების მეანაბრეთა კომისიებს თავმჯდომარეებს, კომპანიებისა და საზოგადოებების საქმიანობის კოორდინაციისა და ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელს.

შეხვედრაზე ილაპარაკეს აღნიშნული კომპანიების მეანაბრეთა მძიმე მდგომარეობის შესახებ. მათი დახმარების მიზნით მიიღეს გადაწყვეტილება მეანაბრეთა ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის თაობაზე.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი.

განგაში

როდემდე გვაცლის თურქული?

სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა, რომ ჩვენი მეზობელი თურქეთის ტერიტორიაზე აღირიცხა თურქულით დაავადების შემთხვევები, ადვილი შესაძლებელია დაავადება ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზეც გავრცელდეს. ამდენად, მდგომარეობა საგანგაშოა მით უმეტეს, რომ ვეტინსპექციას თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინა არ გააჩნია.

ვეტერინარიის მთავარი სამმართველოს უფროსი **ოთარ უთმელიძე:**

— რესპუბლიკაში როგორც თურქულის, ასევე სხვა ინფექციური დაავადებების გაჩენისა და გავრცელების ასაცილებლად ყოველწლიურად ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გეგმა დგება.

ჩვენს რესპუბლიკას დღეს საერთოდ არა აქვს ბიოლოგიური მრეწველობა, ვაქცინები ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან შემოგვქონდა, ხოლო პრეპარატების შესაძენ თანხებს სამმართველო ბიუჯეტიდან იღებდა. თანამეგობრობის ქვეყნები, ბიოპრეპარატების ღირებულებას წინასწარ თხოულობენ, ფინანსთა სამინისტრომ კი დროულად არ გამოგვიყო თანხა.

ახლახან ისევ დავალეს, ალბათ, ბოლოს და ბოლოს თანხა გამოინახება, მაგრამ გვაცლის კი თურქული?

ნაზი იმნაიშვილი.

ნარკომანია

ახალი ტრანსეროვნული ტრასა

სად იღებს სათავეს? საით მიემართება?

ერთი კილოგრამი ოპიუმი რუსეთში 28 მილიონი მანეთი ღირს, საქართველოში ცოტა იაფია, მაგრამ ჩვენი ნარკობიზნესმენები ზღაპრულ მოგებას ღებულობენ.

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელი ხამთაწყარო.

ადრე ისე თავისუფლად გადმოჰქონდათ საზღვარზე „წამალი“, თითქოს ქინძი ან ოხრახუში ყოფილიყო. ახლა დრო შეიცვალა და ისინიც თვალისგან დაფარულ ადგილებს ეძებენ, ხშირად ახერხებენ დაძვრომას, ალაზნის წყლიდან „მშრალად“ ამოსვლას...

— ისეთი ადგილი იშვიათად თუ გვინახავს, — მითხრეს ოპერატიული ჯგუფის წევრებმა, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა მურთაზ კერძაიამ და გოგი მელიქიძემ, — ორნი იყვნენ. ალაზანგამოღმა, საქართველოს ტერიტორიაზე ბორნით გადმოვიდნენ. საფრთხე რომ იგრძნეს, გაქცევა სცადეს, მაგრამ ვერ მოახერხეს. უიარაღოდ იყვნენ, თუმცა წინააღმდეგობა მაინც გაგვიწიეს, როგორც შევიტყვეთ, კლიენტები აქვე მოაკითხავდნენ და გრამში 15 ათას რუბლს გადაუხდიდნენ. კილოგრამნახევარი ნამოეტანათ ვახიდ თურმუშოვსა და ალი ალიევს.

დედოფლისწყაროს რაიონი უკვე ჩამოყალიბებული ტრანსკავკასიური ნარკოტიკული ტრასის ერთ-ერთი არხია.

ტრანსკავკასიურ ნარკოტრასას არა აქვს დიდი ხნის ისტორია — გარდაქმნის „პირმშოა“ და საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე აღმოცენდა.

გაეროს მონაცემებით, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის მოცულობამ 1994 წელს 500 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა და ნავთობისა და იარაღის ბიზნესის შემდეგ მესამე ადგილზეა.

ამ უზარმაზარი ნარკოოლიგარქიის ფინანსურ წარმატებებში თავისი „ღირსეული წვლილი“, რასაკვირველია, ტრანსკავკასიურ ნარკოტრასასაც შეაქვს. იგი სათავეს შორეულ პაკისტანში, ირანსა და ავღანეთში იღებს, გადმოკვეთს ტრადიციულად ნარკოტიკული საშუალებებით მდიდარ შუა აზიის რესპუბლიკებს, შემდეგ კასპიის ზღვას, აზერბაიჯანს და საქართველოსკენ მოემართება, რომელიც ამ ნარკომდინარის შუაწელად უნდა მივიჩნიოთ.

ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსმა, პოლიციის პოლკოვნიკმა ჯემალ ჯანაშიამ მითხრა, რომ საქართველოს გზით, უპირატესად, ოპიუმი, ჰაშიში და ჰეროინი გააქვთ. გააქვთ თურქეთში, ევროპაში. თუმცა უკუპროცესიც მძლავრია: „წამალი“ თურქეთიდან, ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიით, რუსეთისაკენ მიემართება. ჩვენს მეზობლად, აზერბაიჯანში სპეციალური ლაბორატორიები ფუნქციონირებს, სადაც სინთეტიკურ ნარკოტიკებს, კერძოდ, მეთილფენტალინს ამზადებენ. სამკურნალო ნარკოპრეპარატები ძირითადად ინდოეთიდან და არაბეთიდან შემოდის.

სტატისტიკას თუ დავუჯერებთ, ბოლო წლებში, ნარკოტიკულ საშუალებებთან და ფსიქოტროპულ ნივთიერებებთან დაკავშირებული დანაშაულობებისათვის, ახლო და შორეული საზღვარგარეთის 1500 მოქალაქე ამხილეს.

პარლამენტში დღესაც უდევთ კანონპროექტი, რომელიც დიდი რაოდენობით ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციისა და კონტრაბანდისათვის სასჯელის უმაღლეს ზომას ითვალისწინებს. მსგავსი კანონი უკვე მოქმედებს უზბეკეთსა და თურქმენეთში. თურქმენეთში სამი სასიკვდილო განაჩენი კიდეც აღასრულეს.

ვნახოთ, ნარკოტრასის, ამ ღვარცოფიანი ნარკომდინარის; რომელ შენაკადს გადმოლახავს ხვალ ბორანი?

ან, შეიძლება უკვე გადმოლახა კიდეც...

ზაურ მაკარაძე.

ზამთარი ისევ მოვა

გაზი და სინათლე გინდათ?

ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. თანაც ეტყობა ისეთ კაცზეა ნათქვამი, რომელიც მიწიერად ვერ აზროვნებს, მთელი დრო ბჭობს, თათბირობს, დიდ-დიდ გეგმებს ადგენს, რწყილისგან აქლემის შობას ლამობს, საქმეში კი ჭიამკვდრობს.

თუმცა, რაღა სხვაზე ვილაპარაკოთ, შარშან ჩვენ ასე არ დაგვემართა? გაზაფხულიდან მოკიდებული მთელი ზაფხულ-შემოდგომა ვიჭრიჭინეთ, ვითათბირეთ, ვითომ საზამთრო სამზადისში უცხოელებიც ჩავრთეთ, ათასი ვინმე ათას რამეს (კრედიტებს, კაბელებს, ტრანსფორმატორებს, საწვავს) შეგვპირდა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, არავინ არაფერი მოგვცა. ასეთ პირობებში ძაღლუმადურად გამოვიზამთრეთ. როგორია ასეთი გამოზამთრების სიკეთე, ყველამ (ხელისუფალმაც და რიგითმაც) საკუთარ ზურგზე გამოსცადა.

ინებეთ, მაგრამ გადაიხადეთ!

ეს იყო შარშან, მაგრამ რა მოგველის წლეულს? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თბილისის თბოელექტროსადგურიდან დავიწყე. რატომ მაინც და მაინც აქედან? ჩვენი სული და სხეულიც მის ხელშია და იმიტომ. ზაფხულობით კიდევ ჰიდროსადგურებით როგორმე იოლად გავალთ, მაგრამ რას ვიზამთ ზამთარში, როცა საცავებში წყალი გამოილევა და სუსხი ყელში წაგვიჭერს?

— პოპულიზმმა და დილეტანტიზმმა რა სიკეთესაც გვწია, ყველა ნათლად ხედავს, — მითხრა თბილსრესის გენერალურმა დირექტორმა ბადრი დარჩიამ, — არა მგონია, თუ კიდევ ვინმე დარჩა გაუთვითცნობიერებელი, თუ კიდევ ვინმემ არ იცის, რას ნიშნავს ენერგეტიკა ქვეყნისა და ხალხის არსებობისათვის.

— გათვითცნობიერება ერთია და საქმე კიდევ მეორე. თითქოს შარშანაც ვიცოდით, რაც გველოდა, მაგრამ იმის გამო, რომ სახსრები არ იყო გამოყოფილი, ვერაფერი გავაკეთეთ. ხომ იცით, დღეს სხვა ცხოვრება მოვიდა, თუ არ გადაუხადე, ქვეყანა რომ იქცეოდეს, ხელს არავინ გაგიმართავს.

— მეც მანდა ვარ, ყველა მიხვდა (ზევითაც და ქვევითაც), რომ თათბირებით და ფეხების ბრახუნით არაფერი გამოვა და საქმის კეთებას შეუდგა. ამას წინათ მთავრობამ ზამთრისათვის რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მომზადების პროგრამა მიიღო. მასში ჩაწერილია, რა სახსრებია გამოყოფილი ენერგომეურნეობის აღდგენისა და მომზადებისათვის, კონკრეტულად ვის რის გაკეთება ევალება, მითითებულია სამუშაოთა დაწყებისა და დამთავრების ვადებიც.

ეს უკვე საქმეა. დეტალურად ვეცნობი პროგრამას, განსაკუთრებით იმ პუნქტებს, რომლებიც თბილსრესის მკვდრეთით აღდგენას ითვალისწინებს.

ეს გამოთქმა გადამეტებული არ გეჩვენოთ. საქართველოში მიტინგომანიის აღმავლის პერიოდში დაიწყო თბილსრესის დაღმასვლა, რომელიც დღემდე გრძელდება. 1990 წელს მან გამოიმუშავა 5,5 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 1992 წელს — 4,5 მილიარდი, 1994 წელს — 1,9 მილიარდი, რესპუბლიკის ენერგოსისტემაში თბილსრესის მიერ გამომუშავებული ენერგიის წილი 1985 წელს შეადგენდა 47,3 პროცენტს, 1990 წელს — 39,2 პროცენტს, 1994 წელს — 27,5 პროცენტს. შარშან ხანძარმა შთანთქა მეცხრე და მეათე ენერგობლოკები, რომლებიც დღესაც პარალიზებულია. ამას დაემატა უსაწვავობაც და საწარმო მთლიანად გაჩერდა.

და აი, გამოჩნდა მაშველიც, რომელმაც სულთმობრძავს სულზე მოუსწრო. მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით ფინანსთა სამინისტრომ თბილსრესს პირველ ივლისამდე სესხად უნდა გამოუყოს 3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის თანხა, რომელიც მოხმარდება 150 მეგავატი ელექტრული სიმძლავრის მესამე და მერვე ენერგობლოკების შეკეთებას.

ბადრი დარჩია: ფინანსთა სამინისტრომ ეს თანხა უკვე გამოყო, მესამე ენერგობლოკს დღესვე შეუძლია თავისი შესაძლებლობების 60 პროცენტით იმუშაოს, მაგრამ უსაწვავობის გამო გაჩერებულია. დადებულია ხელშეკრულება რუსეთთან, რომელიც მერვე ბლოკს თავისი მასალებითა და მოწყობილობებით შეაკეთებს. ეს კია, რომ აღნიშნული

(დასასრული მე-2 გვ.).

ტელეეკრანი

გაზეთს რომ წაიკითხავთ, შემდეგ

დღეს და ხვალ „ოსტანკინოს“ ტელევიზიის I არხით შეგიძლიათ ნახოთ შემდეგი მხატვრული ფილმები და ტელესერიალები:

შაბათი, 24 ივნისი

10.50 — ტელესერიალი ბავშვებისთვის „ჩემი ზაფხულის საიდუმლოებანი“, მე-8 სერია. 13.20 — მხატვრული ფილმი „გზა ნავმისადგომისაკენ“. 20.10 — მხატვრული ფილმი — „მამაკაცის საქმე“. 22.45 — ტელესერიალი „ქვრივები“ მე-2 სერია.

კვირა, 25 ივნისი

21.15 — მხატვრული ფილმი „დრაკულები — მამა და შვილი“. 23.50 — ტელესერიალი „ქვრივები“ მე-3 სერია.

რუსეთის არხი
შაბათი, 24 ივნისი

15.35 — მხატვრული ფილმი „მეგრე და მაწანწალა“ ტელესერიალიდან „კომისარ მეგრეს გამოძიებიდან“, პირველი ნაწილი. 21.25 — სატელევიზიო მხატვრული ფილმის პრემიერა „ჩაძინებული მგზავრი“.

კვირა, 25 ივნისი

15.20 — მხატვრული ფილმი „მეგრე და მაწანწალა“, ტელესერიალიდან „კომისარ მეგრეს გამოძიებიდან“, მეორე ნაწილი. 21.25 — მხატვრული ფილმი „კიდევ ერთხელ ველურ, ველურ დასავლეთზე“.

ინფორმაცია

მთავრობის სახლიდან

არდავიწყება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დააკმაყოფილა საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს შუამდგომლობა და თავისი დადგენილებით ხარაგაულის სამუსიკო სკოლას მიენიჭა ცნობილი ქართველი ხელოვანის, ლოტბარისა და მუსიკოსის შოთა ბუაჩიძის სახელი, ხოლო სილნალის კულტურის სასწავლებელს — გამოჩენილი ქართველი პიანისტის, პროფესორ თეიმურაზ მათურელის სახელი.

ამიერიდან — სახელმწიფო ანსამბლი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსა და გურჯაანის რაიონის გამგეობის წინადადება, შეთანხმებული საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროსთან და თავისი დადგენილებით გურჯაანის სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლს მიაკუთვნა სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი.

ჩვენი წარმომადგენლობა ესპანეთში

საქართველოს რესპუბლიკასა და ესპანეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით ესპანეთში შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობა.

თბილისში გაიმართება „სომხეთის რესპუბლიკის დღეები“

მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებებია დაგეგმილი და განხორციელებული საქართველოს რესპუბლიკასა და სომხეთის რესპუბლიკას შორის მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობის განსამტკიცებლად. საქართველოს რესპუბლიკა მუდამ მზად არის მეტი სტიმული მიეცეს ამ ორ სახელმწიფოს შორის ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობას, ქართველი და სომეხი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას, საქართველოსა და სომხეთის საქმიანი წრეების ურთიერთკავშირს, ეკონომიკის ყველა დარგში ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას და მხარს უჭერს საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ინიციატივას, რომ ქალაქ თბილისში გაიმართოს „სომხეთის რესპუბლიკის დღეები“.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილების თანახმად 1995 წლის 28-29 ივლისს ქ. თბილისში მოეწყობა „სომხეთის რესპუბლიკის დღეები“.

დამტკიცდა ამ დღეების მოწყობის საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ირაკლი მენაღარიშვილის თავმჯდომარეობით.

შესაბამის ორგანიზაციებსა და უწყებებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაევალათ ამ დღეების მაღალორგანიზაციულ დონეზე გამართვა.

საქინფორმი.

საიდან იწყება იმედი?

ქუთაისში უკვე ბევრს, ძალიან ბევრს სჯერა, რომ ქალაქის მერია ყველაფერს აკეთებს ქვეყნისა და საკუთარი ხალხის ბიუჯეტის განსამტკიცებლად. მარტო 1995 წლის მაისში, ქალაქის ბიუჯეტში, მოგებიდან 200 მილიარდამდე კუპონი შემოვიდა. ეს არის მთელი ხუთი თვის შემოსავლის დაახლოებით 40-42 პროცენტი.

ქუთაისის ბიუჯეტის მოცულობა თვეში უკვე შეადგენს 1 მილიონი ამერიკული დოლარის შესაბამის კუპონს!

არის ბიუჯეტი — არის ხელფასიც! არის ფული — არის ადამიანთა სოციალური დაცვის კარგი გარანტიაც!

უფრო კონკრეტულად რას ნიშნავს ეს?

ქალაქში ეკონომიკის გაჯანსაღების, საქალაქო მეურნეობის ცალკეულ დარგებში, საბიუჯეტო დაწესებულებებში ცხოვრებისეული პრობლემების დასაძლევად, 1995 წლის 4 აპრილს ქალაქის მერმა გამოსცა საგანგებო განკარგულება **„მიმდინარე რეფორმების დაჩქარების უზრუნველსაყოფად სოციალური პოლიტიკის გატარების კონკრეტულ ღონისძიებათა პროგრამის შესახებ“.**

დიახ, ეს იყო არა რიგითი განკარგულება, არამედ კონკრეტული პროგრამა, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პროცესში თანდათანობით ყალიბდება მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა მწყობრი სისტემა. ამ სისტემაში გამოიკვეთა პრიორიტეტული მიმართულებები. კერძოდ, განათლების სისტემის რეფორმამ საშუალება მისცა ქუთათურებს მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინათ მდგომარეობა ამ სფეროში. საშუალო სკოლის გაძლიერებასთან ერთად, გეზი აიღეს ძლიერი უნივერსიტეტებისაკენ, სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა ყოფის გაუმჯობესებისაკენ, რეფორმა ითვალისწინებს პროფესორ-მასწავლებელთა, მეცნიერთა სოციალური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას, ახალი სასწავლო წლიდან პედაგოგებისათვის ხელფასის გაორმაგებაა გათვალისწინებული. (დღეს ქუთაისელი პედაგოგის საშუალო ხელფასი 20-22 მილიონი კუპონია, ზოგიერთი დირექტორისა — 60-70 მილიონი). სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა ქალაქის კულტურული ცხოვრების აღორძინების, თეატრებისა და სახელმწიფო ანსამბლის ფინანსური მხარდაჭერის, შემოქმედებითი კავშირების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, სოციალურად განსაკუთრებით დაუცველი მოსახლეობის, პირველ რიგში კი ვეტერანების თანადგომისათვის.

ქუთაისში სოციალური დაცვის მექანიზმის, საბიუჯეტო სისტემაში საფინანსო მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესების უპირველეს ამოცანად ქალაქის ეკონომიკის გაჯანსაღება, წარმოების ამოქმედება, პრივატიზაციის პროცესების დაჩქარება, ადგილობრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება, მომსახურების ახალი ფორმების დანერგვა, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეული ჰუმანური დახმარების გონივრული გამოყენება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა მიაჩნიათ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, **ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ყველა დაწესებულების დამატებითი ხელფასის ფონდი უშუალოდ დაუკავშირდა ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულებას, ხოლო მრეწველობაში — გამოშვებული და გასაღებული პროდუქციის მოცულობას.**

რამდენი პროცენტითაც შესრულდება ადგილობრივი ბიუჯეტი, პროპორციულად განისაზღვრება (ე. ი. ამაღლდება) საბიუჯეტო დაწესებულების ხელფასის ფონდიც. ამ უფლებას ქუთაისელებს ანიჭებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სპეციალური ბრძანებულება, რომლის თანახმადაც, ქალაქის მერიას ნება დაერთო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში დასაქმებულ მუშაკთა ხელფასი ინდივიდუალურად, ბიუჯეტით დამტკიცებულ ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში დააწესოს.

ხელფასის მინიმალურ დონედ მიჩნეულია დამტკიცებული სატარიფო განაკვეთები, რომლის საერთო მოცულობა საბიუჯეტო სისტემის დაწესებულებებისათვის 140 მილიარდ კუპონს შეადგენს. მისი გაცემა განხორციელდა იმ პირობებში, როცა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მიღების შემდეგ შესაძლებელი გახდა ხელფასის ფონდის მოცულობა 140 მილიარდი კუპონიდან, საორიენტაციოდ, 500 მილიარდ კუპონამდე გაეზარდათ. ამასთან, შეუფერხებლად ხდება ბიუჯეტით დამტკიცებული სხვა კონკრეტული და გადაუდებელი ღონისძიებების უცილობელი დაფინანსება.

ქალაქის სამრეწველო საწარმოებში ძირითადად სრულდება დაწესებული მოთხოვნები — ერთ მუშაკზე ყოველთვიურად გაცემული ხელფასი მინიმუმ 10-15 ამერიკული დოლარის კურსის ტოლფასი უნდა იყოს. ძალაში დარჩა აგრეთვე მოთხოვნა თვეში 10 ტრილიონი კუპონის პროდუქციის გამოშვებაზე.

ამ სწორი, გააზრებული პოლიტიკით ხდება ხელფასის არა მექანიკური ზრდა, რაც ინფლაციურ პროცესებს წარმოშობს, არამედ იგი განისაზღვრება შრომის მწარმოებლურობის ზრდის შესაძლებლობებზე დამყარებული ნომინალური ხელფასის განაკვეთებით.

როგორც მთლიანად ეკონომიკაში, ასევე მის ცალკეულ დარგებში, ქუთაისში ეროვნული ვალუტის განმტკიცებისაკენ აღებულ კურსს არ ღალატობენ. ამ მხრივ ყველაზე დიდ რეზერვად სწორედ ეკონომიკის თანდათანობით ამოქმედება და მომსახურების გაუმჯობესება მიაჩნიათ.

ქალაქისა და ქვეყნის ბიუჯეტის შევსების მიზნით, რასაც დღემდე მიაღწიეს, ეს ქუთაისელთა შესაძლებლობის მხოლოდ 30-40 პროცენტია. თუ რეფორმის ტემპი არ დაიკარგა, თუ მრეწველობამ თანდათანობით აღიდგინა ადრინდელი სახე, თუ განწყობა და რწმენა არ გაიბზარა, წლის ბოლოს ქუთათურები სხვა განზომილებით წარმოგვიდგებიან.

მგონი, უკვე გასაგებია საიდან იწყება იმედი...



2

რეპორტაჟი

იმერეთი XXI საუკუნის კარიბჭესთან

„ქუთაისი ახალი ნაპირისაკენ მიდის“...

...ახლა, მოდით, ქუთაისსა და იმერეთში მიმდინარე პროცესებზე, მათ ერთ-ერთ ორგანიზატორზე ცალკეულ მოქალაქეთა და სპეციალისტთა თვალსაზრისი დავაფიქსიროთ:

არჩილ მურღულია — ელექტრომექანიკური ქარხნის გენერალური დირექტორი: იმერეთის მხარის 240 საწარმოდან ჩვენი ქარხანა ერთერთია მათ შორის, რომლებიც კონკურენტუნარიან პროდუქციას უშვებენ და ასაღებენ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სწორედ გასაღების ბაზრის პოვნაა გადამწყვეტი. მე, როგორც წარმოების ძველ, გამოცდილ მუშაკს გულწრფელად მახარებს ქუთაისში მიმდინარე რეფორმები. მჯერა, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი გვექნება.... ქალაქის მერი და მხარის რწმუნებული ხალხისათვის, ქალაქის წინსვლისათვის თავდაუზოგავი შრომის სიმბოლოა. მის მოწადინებას, ახალ პირობებში ახლებურად აზროვნებას დიდ პატივს მივაგებ.

რევაზ დვალიშვილი — სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „აიას“ პრეზიდენტი: ჩვენი ქალაქის მერს ხშირად უყვარს თქმა — იქ, სადაც ძლიერი დირექტორია, საქმე ყოველთვის კარგად მიდის. მართლაც რომ ასეა. ძლიერი ხელმძღვანელი, კომპეტენტური სპეციალისტი ყველგან გადამწყვეტია. ჩვენი საწარმო პირველი პრივატიზებული საწარმოა ქუთაისში, საკმაოდ ეკლიანი გზა გამოვიარეთ, ვიდრე დღევანდლამდე მოვიდოდით. დიდი ბრძოლაა საჭირო თანამედროვე ბიზნესში, საბაზრო ეკონომიკაში ადგილის დასამკვიდრებლად. ქუთაისს, მის ახალგაზრდობას აქვს ამის პოტენციალი. მთავარია თანადგომა, დახმარება, პროფესიული დაოსტატება. ბატონი თეიმურაზ შაშიაშვილი სწორედ ახალგაზრდობაზე ამყარებს იმედს და პრაქტიკულად ეხმარება კიდეც მათ.

რუბენ ასანიძე — ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი: ქალაქის მერს ადმინისტრაციულ ორგანოებთან, განსაკუთრებით პოლიციასთან მეტად პრინციპული დამოკიდებულება აქვს. ეს აშკარად მისასალმებელია. მას სურს, რომ თითქმის ყოველი პოლიციელი განათლებული, ტაქტიანი, ძლიერი პიროვნება იყოს. ჩვენი თანამშრომლების ერთი მესამედი, დაახლოებით 350 კაცი [illegible] ნაც საკმაოდ სოლიდურ ხელფასს, ქალაქის ბიუჯეტიდან [illegible] იღებს. ესეც უდიდესი მხარდაჭერაა [illegible] ვნაც შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო თვეებში, დანაშაულის მრავალ სახეობაში, [illegible] ტენდენცია გვაქვს, ქალაქში სამწუხარო, ზოგჯერ შემზარავი დანაშაული, მათ შორის მკვლელობის ფაქტები, მაინც ხდება. სწორედ ამიტომ, ყურადღების მოდუნება ერთი წუთითაც არ შეიძლება, დღენიადაგ ვფიქრობთ კადრების პრობლემაზე. უზარმაზარ რეგიონში, — მთელ დასავლეთ საქართველოში — არცერთი სასწავლებელი არა გვაქვს, სადაც დამწყები პოლიციელები, საერთოდ ამ ურთულესი პროფესიით დაინტერესებული ახალგაზრდები, ისწავლიდნენ, არ იქნებოდა ურიგო თბილისის პოლიციის აკადემიის ფილიალის გახსნაზეც რეალურად გვეზრუნა. მობილურ პოლიციას სათანადო აღზრდა და დაოსტატება სჭირდება... დღევანდელი პოლიციის განწმენდის ერთ-ერთი ეფექტიანი მეთოდი ეკონომიკური დაინტერესებაა. აბსოლუტურად სწორია ბატონი თეიმურაზ შაშიაშვილი, როცა ამბობს — იაფი პოლიციელი ძალიან ძვირი გვიჯდებაო! — ქუთაისში კარგა ხანია უსუსური კადრების შემცირების ხარჯზე, საიმედო პოლიციელთა მოზიდვა და დაინტერესება დავიწყეთ. თანდათან უკეთესი შედეგი უნდა მივიღოთ. ჩვენ ვგრძნობთ უდიდეს პასუხისმგებლობას ქუთაისის თითოეული მცხოვრების წინაშე.

ჯანრი კაშია — ქართულ-ევროპული ინსტიტუტის დირექტორი, პოლიტოლოგი: ბატონ თემურ შაშიაშვილის მისწრაფებას იყოს კარგი პოლიტიკოსი, მეთოდოლოგიური სირთულეები ახლავს თან. რასაც ის ამბობს და აკეთებს, მაინც ადმინისტრირების მეთოდი ანუ ადმინისტრირების გზით სხვათა წარმართვის მეთოდი უფროა... ეს კი, როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ცხოვრებამ დაადასტურა, ნაკლებ ეფექტიანია. თუმცა, დღევანდელ საქართველოში, გარდამავალ ეტაპზე, ყოველივე ეს მოსალოდნელი იყო. საერთოდ, მთავარი ნაკლი, რასაც მე ზოგიერთ ქართველ პოლიტიკოსთა, სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელთა მოღვაწეობაში ვხედავ, კვერცხისა და ქათმის ერთად შექმნის სურვილია. ეს კი, არ გამოვა....

თამილა ლვინიანიძე — აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე: ხალხის კეთილდღეობისათვის, ე. წ. სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის დამკვიდრებისათვის უკეთესი შრომა, თავდადება მე ვერ წარმომიდგენია. ქალაქის მერია არა მარტო სწორად აზროვნებს, არამედ პრაქტიკულადაც სწორად მოქმედებს. სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებიდან ქალაქის, ქვეყნის ბიუჯეტის სასარგებლოდ სახსრების ამოღება განა იმიტომ არ ხდება, რომ საწყალ ხალხს, ინტელიგენციას არაფერი დაეკარგოს? ქუთაისში, მთელ იმერეთში რწმენა ამაღლდა, იმედი გაჩნდა... რწმენა და იმედი კი ყველაფერში გადამწყვეტია.

ჰაინც ბარბერი — გერმანია-საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე: ქუთაისი ახალი ნაპირისაკენ მიდის, გულწრფელი წარმატება მინდა ვუსურვო მთელ ქართველ ხალხს დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის რთულ გზაზე.

მიტროპოლიტი კალისტრატე — ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი, გელათის სასულიერო აკადემიის რექტორი: თეიმურაზ შაშიაშვილი XXI საუკუნის მოღვაწეა. ღმერთმა დალოცოს და აბედნიეროს სრულიად საქართველო...

სპარტაკ ქობულია.

ზამთარი ისევ მოვა

(დასასრული)

თანხა ამ მოცულობის სამუშაოებს შესაძლოა ვერც გასწვდეს.

დეპარტამენტმა „საქენერგომ“ უნდა უზრუნველყოს თბილსრესში ნახანძრალი მეცხრე და მეათე ენერგობლოკების აღდგენითი სამუშაოების ჩატარება და წლეულს ნოემბერსა და მომავალი წლის იანვარში მათი საექსპლოატაციოდ გადაცემა.

ბადრი დარჩია: მეცხრე ბლოკის შეკეთება და აღდგენა საკუთარი თანხებით (20 მილიონი მარკა) ითავეს გერმანელმა სპეციალისტებმა, რომლებიც დარწმუნებული ვარ, ამ საქმეს ჩვეული პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით შეასრულებენ. ისინი უკვე ჩამოსული არიან, სამი ფირმის („სიმენსი“, „ჰარტმანი და ბრაუნი“; „აბბ“) წარმომადგენლები სწავლობენ სიტუაციას, ივნისის მეორე ნახევარში გაიმართება ტენდერი და გამარჯვებული ფირმა შეუდგება აღდგენით სამუშაოებს. გამოყოფილი თანხა პირველ რიგში მოხმარდება მეცხრე ბლოკს, ხოლო რაც მორჩება — მეათეს. ამ ბლოკის დიაგნოსტიკისთვის გამოიყენება ის თანხაც, რომელიც ახლახან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოყო. ბლოკებში დამონტაჟდება მართვის თანამედროვე სისტემა, რაზეც ადრე ჩვენ მხოლოდ ოცნება შეგვეძლო. მარტო ეს არ არის. პროგრამა ითვალისწინებს ჩვენი სპეციალისტების (დაახლოებით 80 კაცის) გერმანიაში სწავლება-დახელოვნებას. ეს დიდი საქმეა.

დადგენილებაში სხვა მნიშვნელოვანი პუნქტიც არის. მინისტრთა კაბინეტმა უნდა გადაწყვიტოს 45 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის საკითხი, რათა თბილსრესი სათბობით მინიმალურად მაინც დაკმაყოფილდეს. კერძოდ, პროგრამაში გათვალისწინებული 517 მილიონი კუბმეტრი ბუნებრივი გაზის შესაძენად საჭიროა 31 მილიონი დოლარი, ხოლო 170 ათასი ტონა მაზუთისთვის — 13,6 მილიონი დოლარი.

ბადრი დარჩია: ჩვენი თბოელექტროსადგურის საწვავსაცავი ამაზე მეტსაც (800 ათას ტონას) დაიტევს, მაგრამ სად არის! ჯერჯერობით იგი ცარიელია, მაგრამ რა იქნება ხვალ, არ ვიცით. გვაქვს ინფორმაცია, რომ 50 ათას ტონა მაზუთს ჰუმანიტარული წესით ამერიკელები მოგვცემენ. 80 ათასი ტონა საწვავის თანხა უკვე გადახდილია და მას კონცერნი „საქნავთობპროდუქტი“ შემოიტანს. ასე რომ, იმედი არის.

გაზი და სინათლე გინდათ? ინებეთ, მაგრამ გადაიხადეთ!

ამ ერთი თვის წინათ კი სრულიად უიმედოდ ვიყავით, არ ვიცოდით, საით რა გვეშოვნა, ვისთან რა გვეკეთებინა. აი, ჩამოვიდნენ გერმანელები და კოლექტივში მომავლის რწმენა და სამუშაო განწყობა შემოიტანეს. მათთან ურთიერთობა და მუშაობა ჩვენთვის დიდი სკოლაც არის და დიდი ბედნიერებაც. ვფიქრობ, არც სამუშაოთა ხარისხში და არც ტემპში პრობლემა აღარ გვექნება, თავს მოვიკლავთ და დათქმულ დროში ჩავეტევით.

დიდ იმედებს ვამყარებთ მეცხრე და მეათე ბლოკებზე (მათი სიმძლავრე მთელი ჩვენი საწარმოო სიმძლავრის მესამედზე მეტია). თუ ისინი ავამუშავეთ და მესამე და მეორე ბლოკებიც სრულყოფილად შევაკეთეთ, გარანტირებული 800 მეგავატი ელექტროენერგია გვექნება. ამას წაემატება ჰიდროსადგურებიც და სრულიად საკმარისი იქნება ქვეყნისათვის.

მაგრამ ეს იმედი ცაში გამოეკიდება, ვუთხარი საწარმოს თავკაცს, თუ საწვავის პრობლემა არ გადაწყდება. სხვათა შორის, ჩვენ შარშანაც ვაპირებდით თბილსრესის საცავების საწვავით გავსებას, იმის წინაც, მაგრამ ისინი, როგორც წესი, ცარიელი გვრჩებოდა. თუ მართლა საქმის გაკეთებას ვაპირებთ, უნდა დაჩქარდეს საწვავისთვის თანხის გამოყოფა და ათვისება, რადგან შემოდგომიდან საერთაშორისო ფასები მაზუთზე საგრძნობლად იმატებს. როგორც მინისტრთა კაბინეტის დადგენილებაშია მითითებული, პირველ რიგში 100 ათასი ტონა მაზუთის შესაძენად საჭირო 8 მილიონი დოლარი უნდა გამოიყოს 1 ივლისამდე, ხოლო დანარჩენი 5,6 მილიონი დოლარი — 15 აგვისტომდე.

თბოელექტროსადგურს წარმოებული პროდუქცია ისედაც ძვირი უჯდება და კიდევ საწვავის გაძვირება გვინდა? როგორც აქ მითხრეს, დღეს პროდუქციის თვითღირებულების 90 პროცენტი საწვავზე მოდის, მაგრამ თუ სარემონტო სამუშაოებს ხარისხიანად ჩაატარებენ, ვარაუდობენ, რომ ეს ციფრი საგრძნობლად შემცირდება. შარშან ერთი კილოვატსაათის გამომუშავებაზე 573 გრამი საწვავი დახარჯეს, რემონტის შემდეგ რეალურია, რომ ხარჯი 400 გრამამდე შემცირდეს, მაგრამ ეს ისევ და ისევ დამოკიდებულია სამუშაოთა ხარისხზე, თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობასა და პროფესიონალიზმზე. ალბათ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ სწორედ ამ უკანასკნელის დეფიციტმა და იერიშობანამ (ელექტროენერგიის დიდი უკმარისობის გამო ზემოდან იყო დაწოლაც) მიიყვანა მეცხრე ენერგობლოკი გამოუსწორებელ ავარიამდე. ეს ჩაწერილია კიდეც ხანძრის მიზეზების შემსწავლელი კომისიის დასკვნაში: **გაუმართავი იყო სახანძრო სიგნალიზაციისა და და ხანძარქრობის ავტომატური სისტემა, დარღვეული იყო კაბელების ჩაწყობის წესი, და რაც მთავარია, ბლოკები ისე ამუშავეს, რომ სამუშაოები ჯერაც არ დაემთავრებინათ. კიდევ რაღა მიზეზი გინდათ?**

ახლა მთელ იმედებს გერმანელ სპეციალისტებზე ამყარებენ, ეგენი სამუშაოთა ვადებსაც დაიცავენ, ტექნოლოგიურ ნორმებსაც და ხარისხსაცო. ეჭვიც არ გვეპარება, რომ ასე იქნება (გერმანელებს მუშაობა არ შეეძლებათ), მაგრამ მათ გაკეთებულ საქმეს გაგრძელება ხომ უნდა? ვაჟკაცები მაშინ ვიქნებით, თუ გერმანელთა დანატოვარს გერმანულადვე ვუპატრონებთ.

აქვე დგება პროდუქციის რეალიზაციის პრობლემაც. რა თქმა უნდა, ლაპარაკი არ არის ელექტროენერგიის გასაღებაზე — ენერგომოშიმშილე ხალხის პატრონ საწარმოს პროდუქციის გასასაღებლად უცხო ქვეყანაში სირბილი არ დასჭირდება, მაგრამ გამსაღებელი (საწარმო, ორგანიზაცია, მოსახლეობა) რომ ღატაკი და უქონელია? უფრო უარესი კი ის არის, რომ ღატაკი და უქონელია თვით პროდუქციის მწარმოებელიც. ალბათ გაგიკვირდებათ, როცა გაიგებთ, რომ თბილსრესს, რომლისაც საქენერგოს 100 ტრილიონზე მეტი კუპონი მართებს, იანვრის ხელფასები ივნისშიც ვერ გაუცია, უსახსრობის გამო ვერ შეუსრულებია უამრავი სამუშაო, ურომლისოდაც ის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში გამართულად ვერ იმუშავებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო წყლის ქიმიურად დამუშავებას სჭირდება 40 სხვადასხვა ქიმიკატი, რომლებიც საზღვარგარეთიდან უნდა შემოიტანონ (ადგილობრივი წარმოების მხოლოდ მტკვრის წყალი აქვთ). მართალია ამ საქმეში ამერიკელები ეხმარებიან, მაგრამ ხელი თვითონაც ხომ უნდა გაანძრიონ!

თითქოს გამოსავალი მოძებნილია, მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, თბილსრესი პირველ ივლისამდე დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშზე უნდა გადავიდეს. ეს საქმე უკვე დაწყებულია და დამთავრდება კიდეც (თუ ვადაში ჩაეტია), მაგრამ პრაქტიკულად რას მოგვცემს? ალბათ, ბევრს არაფერს, საქენერგოსთან გაფორმდება ხელშეკრულება, იგი დენს მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ თბილსრესს ენერგიის ღირებულებას გადაუხდის. მაგრამ თვით საქენერგოს ვინ გადაუხდის, გაძარცულ-გაპარტახებული საწარმოები თუ მათზე უარესად გაღატაკებული მოსახლეობა? ვერც ერთი და ვერც მეორე. ფაქტია, რომ მომუშავე მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ხელფასით პურის ყიდვასაც ძლივს ახერხებს (მცირე ხელფასი აქვს სახელისუფლებო ელიტასაც, ოღონდ განსხვავებული შემოსავლებით). მხოლოდ უთოფო და თოფიანი ყაჩაღები (ე. წ. მაფიოზები) ცხოვრობენ კუჭკინჩად და ხელგაშლილად (ნეტავ სინათლის ფულს თუ იხდიან?).

ასეთ პირობებში ძნელია ვილაპარაკოთ გადახდის კულტურაზე და შესაბამისად სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის გამართულ მუშაობაზე. მოსახლეობა დღეს უფრო პატიებაზე ფიქრობს (ხალხში გავრცელებულია ხმები, რომ მთავრობა გადასახადებს თვითონ გადაიხდის ან აპატიებს), ვიდრე დახარჯული ენერგიის გადახდაზე. ეს არ გახლავთ გამოსავალი. ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, შეუძლია ქველმოქმედის როლშიც გამოვიდეს, მაგრამ მან პირველ რიგში საწარმოების ამუშავებისა და მოსახლეობის დასაქმებისათვის უნდა იზრუნოს. თუ ფაბრიკა-ქარხნები, ფირმები იმუშავებენ, პროდუქციას შექმნიან და ხალხიც რეალურ ხელფასს მიიღებს, ეჭვი არ არის, რომ ისინი საკუთარ თავსაც არჩენენ და გაზისა და დენის დანახარჯსაც გადაიხდიან.

მაგრამ ვიდრე საწარმოები, ფირმები და ორგანიზაციები სრულყოფილად ამოქმედდებიან, ხოლო მომუშავენი რეალურ ხელფასს მიიღებენ, მათ ხომ დენიც სჭირდებათ, გაზიცა და წყალიც? იქმნება რაღაც ჯადოსნური წრე, რომლის ნასკვიც, როგორც ჩანს, ხელისუფლებამ უნდა გამოხსნას. ერთი კი ცხადია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მუქთად არავინ არავის არაფერს მისცემს.

წლეულს, როგორც ჩანს, საქართველოში დახარჯული ელექტროენერგიის გადახდის პრობლემა უფრო იქნება (აქამდისაც იყო), ვიდრე წარმოებისა. გაზი, წყალი და სინათლე გინდათ? კი ბატონო, ინებეთ, მაგრამ გადაიხადეთ. თუ გადახდის პრობლემა არ გადაწყვიტეთ, მომავალი ზამთრის გადაგორებაც გაგვიჭირდება.

ოთარ ხუციშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

სააქციო საზოგადოება „ანჯელის“ შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ აბაშის რაიონში სიმინდის, სოიასა და სხვა ინტენსიური კულტურების საწარმოებლად შეიქმნა სააქციო საზოგადოება „ანჯელი“, რომელშიც გაერთიანებულია 1800 კაცი, ძირითადად ქალაქ აბაშის მოსახლეობა.

სააქციო საზოგადოებას შემუშავებული აქვს რაიონში ეთერზეთოვანი კულტურების, მეთევზეობის, მეცხოველეობისა და სხვა დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების პროგრამები.

სააქციო საზოგადოება „ანჯელის“ საქმიანობისათვის ხელისშეწყობისა და საქართველოს რესპუბლიკის აგრარულ სექტორში კონკურენტუნარიანი მეწარმე სუბიექტების შექმნის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნეს აბაშის რაიონის სააქციო საზოგადოება „ანჯელის“ ინიციატივა მიწათმოქმედების დარგში მეწარმეობის ეფექტიანი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების დანერგვით და ქ. აბაშის უმიწო მოსახლეობის შრომითი და ფულადი რესურსების გამოყენებით სიმინდის, სოიასა და სხვა ინტენსიური კულტურების წარმოების გაზრდის შესახებ.

2. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ, სხვა შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ საზოგადოებას მისი მიზნების განხორციელებაში და ხელი შეუწყონ მიღებული დადებითი შედეგების ფართოდ გავრცელებას.

3. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ და აბაშის რაიონის გამგეობამ ამ დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებანი საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების, მისი საქმიანობის შედეგების შესწავლისა და გავრცელებისათვის.

4. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ, ფინანსთა სამინისტრომ, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტმა, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი უცხოური კრედიტების განაწილებისას, გაითვალისწინონ სააქციო საზოგადოება „ანჯელის“ მიერ წარმოდგენილი პროგრამები და ბიზნეს-გეგმები.

5. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონცერნმა „საქნავთობპროდუქტმა“ რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტმა“, სააქციო საზოგადოება „ანჯელს“ შესაბამისი ანაზღაურებით, არსებული წესის შესაბამისად, მიაწოდონ საჭირო რაოდენობით ნავთობპროდუქტები და მინერალური სასუქები.

6. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ, პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციამ ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი აბაშის პურის მიმღები საწარმოს პრივატიზებისა და მასში სააქციო საზოგადოება „ანჯელის“ მონაწილეობის შესახებ.

7. რესპუბლიკისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მარცვლეულის წარმოების გადიდების მიზნით აბაშის რაიონის გამგეობამ განიხილოს წინადადება „ანჯელის“ მასივში არსებული 2800 ჰექტარი მიწის ფართობის სააქციო საზოგადოება „ანჯელისათვის“ იჯარით გადაცემის თაობაზე.

8. საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კორპორაციამ, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებმა, ფართოდ გააშუქონ სააქციო საზოგადოება „ანჯელის“ საქმიანობა.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ო. პაპაცია.

1995 წლის 16 ივნისი.

კომპეტენტური აზრი

მაინც რა ხდება აბაშაში?!

უცნაური ბედი ხვდა საქართველოს ამ პატარა რაიონს. ჯერ კიდევ 70-იან წლებში იგი საცდელ პოლიგონად იქცა. ახლა, როცა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ კვლავ მოვკარი თვალი ვრცელ ინტერვიუს სათაურით „რა ხდება აბაშაში?“ — სიმართლე გითხრათ, უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა: კვლავ ექსპერიმენტი? ნუთუ არ უნდა დამთავრდეს ბნელში ხელების ცეცება?! ღრმად ვარ დარწმუნებული, კვლავ ექსპერიმენტების გზით სიარული კარგს არაფერს მოგვიტანს. ხსნა წინაპართა ცხოვრების წესის აღდგენაშია, თანამედროვე პროგრესის სრულფასოვნად დაუფლებაშია, ერთიანობასა და ეროვნული სახის ჩამოყალიბებაშია.

კანონის უზენაესობას, მის დიქტატურას ჯერჯერობით ვერ ვამყარებთ. რატომღაც ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ვიღებთ საკუთარ თავზე, რის გამოც ბევრი ეროვნული მნიშვნელობის საქმე გაფუჭდა, სამწუხაროდ, ზოგიერთი გამოუსწორებლადაც. აგრარული რეფორმაც ისე დავიწყეთ, პიროვნული პოპულიზმის გარდა არავითარი იდეოლოგიურ-თეორიული დასაბუთება არ მივეცით. შედეგიც სამწუხაროა: სოფლები სოციალური და ადმინისტრაციული თვალსაზრისით გაურკვეველ მდგომარეობაშია. მომხვეჭელობამ პატიოსანი შრომის სურვილი დაჩრდილა. იმის მიუხედავად, რომ პარლამენტი ორწელიწადნახევარია მუშაობს, მოსახლეობამ ვერაფრით ვერ გაიგო ვის ეკუთვნის მიწა. საადგილმამულო კანონის მიღებას საშველი არ დაადგა. სახელდახელოდ გამოცემული დადგენილებანი და ნორმატიული აქტები კი გაუგებრობათა ობობას ქსელს კიდევ უფრო აფართოებენ. და აი, ამ რთულ ვითარებაში აბაშამ კვლავ მიიქცია საზოგადოების ყურადღება. მაინც რა ხდება აბაშაში?

თითქოს დაბარებულივით აბაშის რაიონის სოფელ ეწერიდან რაიონში ჯერ კიდევ შემორჩენილი ერთადერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბატონი გულივერ ტოტოჩია ჩამოვიდა. მან პარლამენტის აგრარულ კომისიაში განცხადება შემოიტანა, რომელსაც თან დაურთო სოფლის სავარგულთა რუკა და სხვა დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც პრეტენზიას აცხადებდნენ ანჯელის მასივში მდებარე მიწების ერთ ნაწილზე. ბატონმა გულივერმა კვალიფიციური პასუხი მიიღო და უკან გაბრუნდა, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ სოფელ ეწერიდან მისი მეთაურობით ამჯერად უკვე 38 კაცი ჩამოვიდა. სიმართლის დასადგენად სპეციალისტთა კომისია აბაშაში გაემგზავრა. მძიმე შეხვედრებისა და დიალოგების შედეგად გაირკვა, რომ სოფელი ეწერი ფაქტობრივად ლამის კანონგარეშე მდგომარეობაშია. ის სუჯუნის საკრებულოზეა მიწერილი და ოფიციალურ დოკუმენტებში არც იხსენიება, ხოლო კოლმეურნეობა პრაქტიკულად გაუქმებულია, მაგრამ რატომღაც მაინც არსებობს ყოველგვარი საკოლმეურნეო ვალდებულებების გარეშე. ამის მიუხედავად, მიწების პრივატიზაცია ჩატარებულია და ამ მხრივ არც ერთ კომლს საყვედურო არაფერი აქვს, ყოველ შემთხვევაში კომისიისთვის საჩივრით არავის მოუმართავს.

ხალხის გულისწყრომა გამოიწვია რიონს გაღმა მდებარე სოფლის მიწების ფირმა „ბაკურის“ მიერ დამუშავებამ, რომელთა დაბრუნებას კატეგორიულად მოითხოვს მთელი სოფელი. აღმოჩნდა, რომ ამ მიწების კუთვნილების უდაო საბუთი არც სოფელს აქვს და არც ფირმა „ბაკურს“. ასეთი დავის საფუძველი არა მარტო აქ, არამედ მთელი საქართველოს სოფლებშია ნაღმივით ჩადებული. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი აგრარული რეფორმის, სახელდობრ ე. წ. მიწის პრივატიზაციის ემპირიულად, მოუმზადებლად ჩატარებაა.

არადა, ფაქტია, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. პარლამენტმა დროულად უნდა მიიღოს საადგილმამულო კანონი, სოფლის სტატუსი და თვითმმართველობა. ამით აბაშასაც ეშველება და მთელი საქართველოს სოფლის მშრომელებსაც, რომელთაც უძნელესი შრომის პირობები აქვთ ფსიქოლოგიური ზეწოლის და მატერიალური სიდუხჭირის გამო. ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია აბაშის ინიციატივა, რომელიც ზემოაღნიშნული სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობების დაძლევის რეალურ პრაქტიკულ შესაძლებლობას იძლევა. იქ, შეიძლება, ითქვას, სასწაულია მომხდარი. ადგილობრივი გამგეობის, სამხარეო ადმინისტრაციისა და ახლადჩამოყალიბებული სააქციო საზოგადოება „ანჯელის“ ძალისხმევით რაიონი უზრუნველყოფილია თანამედროვე მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით და თესლით. მიმდინარეობს კარგად ორგანიზებული შრომა. სამაგალითოდაა დამუშავებული და მოვლილი ათასობით ჰექტარი მიწა. აგროვადების დაცვით სულ 15 ათას ჰექტრამდე სავარგული დაითესა, რის შედეგადაც რაიონის მოსახლეობის უმრავლესობა დასაქმდა და საარსებო შემოსავალი გაუჩნდა, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა აუცილებელი და გადაუდებელი კანონმდებლობის გარეშე მიმდინარეობს. ამიტომაც, აბაშაში ყველაზე ძნელი პრობლემა — მიწის მოვლა-დამუშავება — გადაწყვეტილია, ოღონდ რთულად დგას მიწის საკუთრების საკითხი. თუ დროულად არ გაირკვა სახელმწიფოსი რა არის, სოფელს რა ეკუთვნის და კომლს რა ერგება, ამაოდ ჩაივლის გაწეული შრომა, წინააღმდეგობას თავს ვერ დავაღწევთ და მოპოვებული წარმატება აზრს დაკარგავს.

აბაშის რაიონის მიწის ფონდი მთლიანად ეროვნული, სტრატეგიული მნიშვნელობისაა. ამიტომ მისი დაქუცმაცება დაუშვებელია. რაც დააქუცმაცეს, უმეტესობა დაუმუშავებლადაა დატოვებული და თვალუწვდენელი მწვანედ აბიბინებული ყანების ფონზე მკვდარ, შავ ლაქებად რჩება. ასევე ზოგიერთი უდღეური ფირმაც საქმეს თავს ვერ ართმევს და მიწას აცდენს. სამექანიზაციო ნაკვეთების მოცდენა, როცა რაიონს მიწის დამუშავების ყველა საშუალება მოეპოვება, ფრიად დასანანია. დღეს მიწა იმას უნდა ჰქონდეს, ვისაც შეუძლია მაქსიმალური მოსავალი მიიღოს. სხვანაირად შიმშილს თავს ვერ დავაღწევთ. ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ აბაშის რაიონში სახნავ-სათესი მიწის უმეტესობა სახელმწიფოს ხელში უნდა დარჩეს, რათა ეს ეროვნული სიმდიდრე სახელმწიფოს მოთხოვნილებათა დონეზე იყოს გამოყენებული, მაგრამ ბუნებრივია, სოფლები არ უნდა დაზარალდნენ. მათ კუთვნილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზღვრების გათვალისწინებით და გადაეცეს და სტატუსის მინიჭების შედეგად დაუმტკიცდეს. მაგრამ თუ სოფლებს მათი ათვისების შესაძლებლობა აქვთ, მაშინ ეს მიწები ორმაგ დაქვემდებარებაში (სახელმწიფოსა და სოფლის) უნდა გადავიდეს. ისინი იჯარის წესით დამუშავდება და მუშახელად, უპირველეს ყოვლისა, მოცემული სოფლის მცხოვრებლებს გამოიყენებენ [illegible] ურთიერთხელსაყრელი [illegible]რულების საფუძველზე.

რაც შეეხება კომლებს, სოფლის სტატუსთან ერთად მათი სტატუსიც განისაზღვრება და [illegible]წა ამის მიხედვით დაუმტკიცდება[illegible]ბათ. საკარმიდამოები კერძო საკუთრებაში გადავა, ხოლო საკომლოები (სასაქონლო მოსავლის მომცემი მიწები) შეზღუდულ საკუთრებაში, რაც მათი განკარგვის რეგულირებას ნიშნავს.

შესაძლოა აბაშის გამოცდილება ფართოდ დაინერგოს მთელი რესპუბლიკის მასშტაბით.

ლევან ფრუიძ

საქართველოს პარლამენტის აგრარული კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, პარლამენტის წევრი.

თბილისი-აბაშა

ხეილ (მიხაკო) წერეთელი მრავალმხრივი
ღვაწე, მეცნიერი და პოლიტიკოსი იყო.
ი დაიბადა შორაპნის მაზრის სოფელ ცხუ-
ში 1878 წელს, გარდაიცვალა გერმანიაში,
ხენში 1965 წელს. 1899 წელს შევიდა
ის უნივერსიტეტში, შემდეგ, პარიზის უნი-
სიტეტში, ლონდონში, ლაიფციგში და ბო-
ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში დაუმთავ-
ა სწავლა.
1920 წელს ივანე ჯავახიშვილმა მიიწვია
ლისის უნივერსიტეტის ასირიოლოგიისა და
ისავლეთის ისტორიის კათედრის გამგედ.
გრაციაში ყოფნისას განაგებდა კათედრებს
ხელისა და ბერლინის უნივერსიტეტებში,
ოდა ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას,
ლევდა ქართული კულტურის პრობლემებს
ილით კულტურასთან მიმართებაში, თავ-
ცხოვრების აზრს ქართველი ერის სამსა-
ში ხედავდა.
მიგრაციამდე აქტიურ პოლიტიკურ ბრძო-
ში იყო ჩაბმული.
„მიხაკო წერეთლის შეხედულებანი ერის სა-
ში, — წერს გურამ ყორანაშვილი, — სუ-
ც არ იყო მხოლოდ პოლიტიკური კონიუნ-
ტურით ნაკარნახევი და გამომდინარეობდა სა-
ის ნამდვილად მეცნიერული, ფილოსოფი-
ი გააზრებიდან, დაფუძნებული იყო თანამე-
ვე სოციოლოგიისა და ეთნოგრაფიის (ცერ-
, ქართული), ასევე, ერის თეორიების კარგ
დნაზე, ამიტომაც მისი თეორიული მემკვიდ-
ობა ერის საკითხის თაობაზე წარუვალი მნი-
ნელობისაა"...

თველო აროდეს ყოფილა ცენტრალისტური სა-
ფო. ისეთი აბსოლუტური მონარქია, როგორიც
, მაგალითად, საფრანგეთში და რომელმაც შექმნა
ვეთის უმაღლეს ხარისხამდე განვითარებული ცენტ-
მი, საქართველოს ისტორიას არ ახსოვს და თვით
მეფეთა დროს წარმოადგენდა ჩვენი ქვეყანა
ს იმ სამეფოთა და სამთავროთა, რომელნიც შეა-
[illegible] ბაგრატიონთა სამხედრო და სამოქალა-
ფლმა. ცნობები, რომელიც მოგვეპოვება საქართვე-
დროის პოლიტიკურ და ერთობ საზოგადოებრივ
ბისათვის, მოწმობენ ამას, და მეფის კურთხევისა,
ასვლისა, კარის გარიგებისა და მინისტრთა და-
წესებიც ცხად-ჰყოფს, რომ საქართველოს შემად-
სხვა და სხვა ნაწილთა წარმომადგენელთ განსაზღ-
რული ჰქონდათ მიკუთვნებული სრულიად საქარ-
სახელმწიფოებრივ საქმეთა წარმოებაში.
ესი დროის საქმე იყო დამოუკიდებლობა ქართ-
ომთა, ამას ხელს უწყობდა ძლიერად გეოგრაფი-
ქართველოისა; ხშირად პოლიტიკური მეტოქეობაც
თ შორის, ბრძოლა, მაგრამ რათგან ქართველი
თის სისხლისა, ენისა და სარწმუნოებისა უკვე
დროითგან შექმნილი იყო ერად, ერთი ეროვ-
კულტურითა და სულით, კავშირიც ხშირი და ბუ-
იყო საქართველოს ცალკე ტომთა და სახელმწი-
შორის, განსაკუთრებით საერთო მტერთა წინაალმ-
შეგნება ქართველობისა და ეროვნული ერთობისა
ანებამდის არსებობდა საქართველოს ყველა კუთ-
, მიუხედავად მრავალ განდგომათა და ურთი-ერთის
ღვეკ ბრძოლათა, სწორედ ეს სულიერ-კულტურუ-
ერთობა ერისა იყო საფუძველი საქართველოს ნა-
ერთ პოლიტიკურ სხეულად შეერთებისათვის.
ქვა და ნიჭი, მაგარი მკლავი და მჭრელი მახ-
დიდ მეფეთა ამიტომ მოქმედებდნენ საკვირვლად
საყოფიეროდ.
ოლთა შემოსევათა დროს საქართველოს პოლიტი-
მთლიანობა დაირღვა და მის შემდეგ ყოველთვის
ლე იყო აღდგენილი ერთობა ჩვენი ქვეყნისა.
იყო ყველა ცდა საქართველოს გაერთიანებისა. აბ-
ტურ მონარქიას არ დასცალდა განვითარება, და-
ლმაშენებლითგან მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე,
საქართველო საფრანგეთის მსგავსად „გაერთიანებუ-
", რომ თბილისი გამხდარიყოს საქართველოსათ-
ც პარიზი იყო და დღესაც არის საფრანგეთისათ-
რომ სრულიად საქართველოს მეფე ყოფილიყოს
ლუდოვიკო მე-XIV-ისა. მაგრამ ნამდვილი, ეროვ-
ერთობა საქართველოსი ვერც ამ გარემოებამ მოს-
სხვა ძირები ჰქონდა და ეს ძირები ვერ აღმოფ-
ვრავითარმა გრიგალმა შემოსევათა, საუკუნეთა გან-
ბაში ჩვენზედ მოწეულმა, და ეს არის მიზეზი იმი-
რომ ქართველი ერი ვერც შავთა დროთ აღგავეს პი-
ან მიწისა, ვერც რუსეთის ბატონობამ. და თუ არ
ნით იმ დიდ ვნებას, რომელიც მტერმა მიაყენა
ველოს მონღოლთა შემოსევის დროითგან, საქართ-
დაფლეთილსა და დანაწილებულს, კიდევ მადლო-
უნდა ვიყოთ ბედისა, რომ ცენტრალიზმი აროდეს
არებულა საქართველოში და არ უქმნია ის მავნე-
საქმე, რომელიც მას ყველგან უქმნია, სადაც კი
ქვეყანა. ნუ აღურევთ ცნებათა: ერთობა, გაერ-
ბა სხვაა და ცენტრალიზმი სხვა, და თუ პირველის
ვამ დიდი ზიანი მოგვაყენა, მეორის დესპოტიზმი
ვარად ავნებდა საქართველოს. ყველგან, სადაც და-
დებელი ქალაქები, რესპუბლიკები, ან სამთავროე-
სამეფოები თავისუფლად ვითარდებოდენ, შეიქმნენ
კულტურული ცენტრები; ეროვნული კულტურისა
კი არა, მრავალი დიდი კერა ენთო, და ოდეს ერი
ტიკურადაც გაერთიანდებოდა, კულტურულად
ესად განვითარებულ ერის ნაწილთა მჭიდრო კავ-
წარმოადგენდა იგი. ეროვნული კულტურის ძლიერ-
ადნი მთელი ერის სამკვიდრებელის სივრცეზედ მი-
დნენ და ყოველ კუთხესაც ცოცხლად დარჩა მეხ-
ებაში მისი წარსული, შერჩა ინდივიდუალობა, თა-
ლება და შეძლება განეგრძო ადგილობრივ თვისი
ტურული შემოქმედება და ამით განემდიდრებია სა-
ეროვნული სალარო კულტურისა. საუკეთესო მა-
თი ამისა არის გერმანია — ხოლო საწინააღმდეგო
თი საფრანგეთია, სადაც აბსოლუტურმა მონარ-
შექმნა ცენტრალიზმი და მერმე მისმა უსასტიკესმა
ორემ, რევოლუციითგან წარმოშობილმა „ერთმა და
ფელმა რესპუბლიკამ" და იმპერიამ. მართალია
გაერთიანდა, მაგრამ თვით ეს წესი გაერთიანების
ბელი იყო ნიჭიერი და შემომქმედი ფრანგის ერისათ-
ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეთა დამოუკიდებელი და
ფალი შემოქმედება დაკნინდა, თითქმის სრულიად
. პარიზი გახდა ერთად-ერთ დიდ კერად კულტუ-
შემოქმედებისა, არა მარტო გარდამწყვეტად საფ-
თის პოლიტიკურის ბედისა. და მიუხედავად საფ-
თის პროვინციათა სიმდიდრისა, მიუხედავად საფ-
თის ერის უაღრესი ერთობისა და პატრიოტიზმისა,
დიდ წამალ-დაუდებელი უბედურებაა მისი: რაც აღ-
და, აღსრულდა, მკვდარ ნერგთა გახარება და დიდ
მშვენიერ ხეებად გაზრდა შეუძლებელია. — სხვა ქვე-
ისტორიაც ამას ამტკიცებს.
ნებთმა მოტყუებითა და ძალით ზედი-ზედ შეიერთა
თველოს უბრალო ნაწილები კი არა, არამედ პოლი-
ური ორგანიზმები. და მიუხედავად თითქმის მთელი
თველოს ტერიტორიათა გაერთიანებისა რუს-ოს-
ომების შემდეგ მე-XIX საუკუნეში, თავისებურება
თველოს ნაწილთა უცვლელივ დარჩა. საქართველოს
ელი ერთობა ქართველი ერის კულტურული ერთო-
და ქართველობის შეგნება იყო. დღესაც ასეთია სა-
თველოს აგებულება: — ქართლი, კახეთი, იმერეთი,
რელო, გურია, აფხაზეთი, სვანეთი, თვით რაჭა,
ეთი, ხევსურეთი, ფშავეთი, თუშეთი უბრალო მაზ-
, საადმინისტრაციო კუთხეები კი არ არიან, არამედ
დუალური სახისა და ისტორიის მქონე ნაწილნი
თველოისა, — საკუთარ თვისებებით, ზნე-ჩვეულე-
, ხასიათით განსხვავებულნი ურთი-ერთისაგან. ეს
წოდებანი სულ სხვა რამეს მოასწავებენ ქართველი-
ს, ვიდრე „ტულის გუბერნია" რუსისათვის. აგრეთ-
ნების მრავალ-ფეროვანება, განსაკუთრებული ფი-
ური აგებულობა საქართველოს მრავალ მხარეთა, გან-
ება ქართულ დიალექტთა შავი ზღვის ნაპირთაგან
ვებული კახეთის ბოლომდე, კავკასიონის ქედის გას-
ქართულის მოდგმისა, მაგრამ დამოუკიდებელი
ენები — მეგრულ-ჭანური და სვანური, ან მონათესავე ქართულისა, მაგრამ არა ქართული — აფხაზური, — ყოველივე ესე ჰქმნის საქართველოს მრავალფეროვნებას, ხოლო არ არღვევს საქართველოს და ქართველი ერის მთლიანობას, არამედ, სიმდიდრეა საქართველოსი. საქართველო მუდამ ასეთი იყო, მაგრამ გაერთიანებულმა მეფეთ-მეფეთა საქართველომ ძველად შესაფერისი პოლიტიკური ფორმა გამონახა ამ მრავალფეროვანების ერთობად ჩამოქმნისა. მას შემდეგ დრონი და ცხოვრება იცვალენ, მაგრამ საქართველო იგივე მრავალფეროვნებაა, როგორიც იყო ძველად. და დღესაც ახალი ცხოვრების შესაფერისი პოლიტიკური ფორმა უნდა გამოინახოს, რომ ეს მრავალ-ფეროვანება ერთობაში მოთავსდეს, იყოს თვით უმტკიცესი საფუძველი საქართველოს ერთობისა.

პოლიტიკური აგებულება, საქართველოსი ავტონომიურ კანტონთა კავშირი უნდა იყოს. საქართველოს ყოველ კუთხეს, რომელიც ცოცხალ ორგანიზმს წარმოადგენს, რომელსაც სრულიად გარკვეული სახე აქვს, უნდა მიეცეს საშუალება საკუთარი ცხოვრება თვით მოაწყოს და სრულიად საქართველოს სახელმწიფოს მისთვის ზრუნვა იმოდენად უნდა დასჭირდეს, რაოდენადაც მისი მოვალეობა იქმნება მისი შემადგენელი ყოველი ნაწილისათვის ზრუნვა. კანტონთა ინიციატივამ, თვითმოქმედებამ უნდა შექმნას საქართველოს ყველა კუთხეში კულტურული ცენტრები, რომელთაგან სხივი კულტურისა მოეფინება არა მარტო თვითოეულ კუთხეს, არამედ მთელ საქართველოს. ქართული კულტურის მდინარე უნდა აღივსოს კუთხეთა კულტურულ ნაკადთაგან, მას უნდა წარემატებოდეს კუთხეთა შემოქმედებით და შეჯიბრებითა, — რომელი მეტს შესძენს საერთო ეროვნულ-კულტურულ სალაროს.

კანონ-მდებლობისა და მართვა-გამგეობის ის წესი, რომელიც „თ. გ".-ის აზრით უნდა იყოს შემოღებული მომავალ საქართველოში, უფრო ადვილად არის დასამკვიდრებელი მცირე პოლიტიკურ ორგანიზაციებში, ვიდრე დიდ სახელმწიფოში. ნამდვილი წარმომადგენლობა ხალხისა, ნამდვილი კავშირი ხალხისა და კანონ-მდებელთა შორის, ნამდვილი მზრუნველობა განმგებელთა განგებულთათვის, ხალხის კონტროლი თვის არჩეულთა და სხვა, — ყოველივე ესე უფრო განსახორციელებელია მცირე კანტონში, სადაც მოქალაქენი თითქმის ყველანი იცნობენ ურთიერთს და ნაკლებად მოსტყუვდებიან არჩევანში და ნაკლებად გააბედვიებენ პოლიტიკურ პიროვნებათ, მათ პირად ან პარტიულ ამბიციებს ანაცვალონ ხალხის ინტერესები, ან განმგებლებს, მათდამი მინიჭებული უფლება ბოროტად გამოიყენონ და ხელის-უფალთა მიმძლავრებისადმი მიდრეკილებას ფრთა გააშლევინონ.

მემკვიდრეობა

ფედერატიული საქართველო

[illegible] ტროლი და თავითგან აცილება მათი მოქმედებისა შეუძლებელი. ხოლო თვითეულ კუთხეში ხალხი ნათლად დაინახავს თვის მიერ არჩეულთა მოქმედებასა და მისს შედეგსაც პირდაპირ იგრძნობს, და თუ, მიუხედავად ახალი საარჩევნო წესისა და ახალი საკანონმდებლო და სამართვა-გამგეობო სისტემისა, რომელმამ კუთხემ მაინც ძველი პირი ამჯობინა და რომელიმე პარტია წამოისვა თავზედ, მალე ისიც იგრძნობს მწვავედ ამ ბატონობის სიმწარესა და რეგვენთა ექსპერიმენტების მავნებლობას და მყისვე მოიშორებს მათ თავითგან; ბუნებრივად მივა იმ დასკვნამდე, რომ ქვეყნისათვის სასარგებლო კანონთა გამოცემა და მისთვის ზრუნვა რჩეულთა საქმეა, და ამ რჩეულთ მიანდობს თავის საქმეთა გაძღოლას და წარმოებას. ერთობ საქართველო კი პარტიათა საპროპაგანდო ასპარეზი ველარ იქმნება — ბუდე მათ მხოლოდ რამოდენიმე ადგილას აქვსთ და პირველად თავიანთ ბუდეში დამარცხდებიან, ოდეს ნაცვლად დემაგოგიისა ნამდვილი საქმიანობა დაიწყება — და ველარც ნიადაგი მათი ექსპერიმენტებისათვის.

საქართველოში სხვა და სხვა კუთხის ქართველნი ურთი-ერთს ან დაცინვით, ან ცუდად იხსენიებენ. ეს არ არის ქართველთა ურთი-ერთის ნამდვილი სიძულვილი, არამედ გამოცხადება გრძნობათა: ურთი-ერთის წინაშე უპირატესობისა, თვისებათა შეუგუებლობისა, ნაკლთა განკიცხვის სურვილისა და სხვა. ძირი ამ მოვლენისა ის განსხვავებაც არის, რომელიც არსებობს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეთა შორის, ის წინააღმდეგობაც, რომელიც საუკუნეებით არსებობს სხვა და სხვა თემთა შორის, ნაშთი უძველესის ბარბაროსობისა, და ისტორიულიც: განწყობილება აღმოსავლეთი საქართველოისა დასავლეთ საქართველოსადმი შეიძლება დაიბადა იმ დროს, როდესაც აფხაზეთის ბაგრატიონები ძალით აერთიანებდენ საქართველოს და მახვილით ხელში მიიწევდენ აღმოსავლეთისაკენ, და დღემდე დარჩა იგი შეუგნებლად ამ ისტორიულ მიზეზისა, რომელიც დიდი ხანია განვიდა ქართველთა მეხსიერებითგან, ხოლო დამყარდა თუ არა ცენტრალისტური მართვა-გამგეობა საქართველოში, ჩვენი უკანასკნელი დამოუკიდებლობის დროს, ეს განწყობილება უკმაყოფილებად იქცა, და თითქმის მტრობად უნდა ქცეულიყო უკმაყოფილება, ოდეს მთელი დასავ. საქართველოს საქმიანი და უსაქმო ბრბო თბილისს მოაწყდა „ძებნად ადგილთა" და გაბატონებულ პარტიის დასავლეთ საქართველოთგან მოსულ წევრებთან მეგობრობისა, ნათესაობისა და ნათლმირონობის წყალობით მთელს აღმოსავლეთ საქართველოს მოედვა და სული შეუხუთა. თითქოს არა კმაროდა ის სირცხვილი და უბედურება, რომ საქ. დამფუძნებელ კრებაში 4/5-ზედ მეტი „იმერელი" იყო. მათ შორის დიდი უმეტესობა სოციალ-დემოკრატი, ე. ი. აღმოსავლეთი საქართველოს ფაქტიურად გამორიცხვა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებითგან, და თავის საკუთარ ქვეყანაში საადმინისტრაციო უბრალო ადგილებითგანაც კი გააძევა „იმერლების პარტიამ" ქართლ-კახელნი და სხვანი! — ფედერატიულ საქართველოში ეს არა-ნორმალური და დამღუპველი მოვლენა განქრება, რათგან ყოველი კუთხე თვით წარუძღვება საქმეს ადგილობრივი კანონმდებლობისა და მართვა გამგეობისა, და სრულიად საქართველოს ყველა დაწესებულებათა საქმეთა მაწარმოებელნი და განმგებელნი შესაფერისნი, რჩეულნი წარმომადგენელნი ყველა კუთხეთა იქმნებიან. მაშინ უკმაყოფილება, სიძულვილი და მტრობა მოისპობა ქართველთა შორის და მხოლოდ ლაღობა დარჩება ურთი-ერთისადმი, — უვნებელი და მხიარული ხუმრობა.

„მაფალუს" მოძრაობამ სამეგრელოში დიდი აღელვება გამოიწვია ქართველთა შორის — ყველაზედ უფრო დიდი თვით სამეგრელოს ქართველ-პატრიოტთა შორის. ცოტნე დადიანის სამშობლოს ქართველებმა ითაკილეს ასეთი რამ, ღალატად ჩასთვალეს ეს მოვლენა საქართველოს სამშობლოსადმი, რომლის წინაშე საუკუნეთა ღვაწლი და თავგანწირულება მიუძღვისთ მათ წინაპართა, მაგრამ ჩვენის ფიქრით „მაფალუ", არც ღალატია საქართველოსი, არც საფრთხე საქართველოს მთლიანობისათვის. იგი ბუნებრივი მოძრაობაა იმ დროისა, როდესაც ყოველი ეროვნული ინდივიდუალობა და თავისებურებაც თვით ერის ნაწილთა განმტკიცებად მიისწრაფის. ასეთ მოძრაობათა დასაწყისს ყოველთვის თანსდევს გადაჭარბება, მტრის ძებნა იქ, სადაც იგი არ არსებობს, რომ ბრძოლის ემბაზში განინათლოს ახალი იდეა, ხშირად იმის რჩოლაც, მაგრამ განივლის დრო და ყოველივე ბუნებრივის წესით წარემდინარება, მოძრაობა იმ ნაყოფს გამოიღებს, რომლის შობად იგი იყო მიდგომილი, და „მაფალუც" მით გათავდება, რომ სამეგრელო იქმნება ავტონომიური კანტონი და ორგანიული ნაწილი ფედერატიული საქართველოსა, თვისის შვენიერის მეგრულის ენით, რომლის კულტურაც ბუნებრივი მოთხოვნილება და მოვალეობა იქმნება ყოველი მეგრელისა და თვით სამეგრელოს კანტონისა, — ქართული ენის კულტურასთან ერთად. ერთი დიდი ქართულის ძირის ორივე ამონაყარი ენის კულტურა მეგრელთა მიერ — შეძენა საქართველოს კულტურულ საუნჯისათვის და არა დანაკლისი. სხვანაირად შეუძლებელია „მაფალუს" მოძრაობის დამთავრება, თუ საქართველოს დამოუკიდებლობა უწერია, თუ არა და „მაფალუზედ" უარესი მოვლენანი დაშლიან ჩვენს ერსა და მისს ცხოვრებას. — ამბობენ, ბოლშევიკი სარგებლობს ამ მოძრაობით და შლის საქართველოს მთლიანობასო, მაგრამ ეს საბუთი არ არის თვით მოძრაობის მავნებლობის დამამტკიცებელი; ბოლშევიკი ყველაფრით სარგებლობს, ძალით ანადგურებს საქართველოს გარეშე ყოველივე „მაფალუისა", — საკითხი ბოლშევიკების მძვინვარებისა საქართველოში და მათი მოქმედების წესისა სულ სხვა სფეროშია. — „მაფალუ" უდიდესი მაჩვენებელია მომავალ საქართველოს ფედერატიულად აღდგენის საჭიროებისა, და ასეთი მისი იქმნება არა დამღუპველი საქართველოსათვის, არამედ კეთილი, განმამდიდრებელი ქართული კულტურისა, ვინაითგან ფრიად გაიზრდება მეგრელთა ნიჭის შემოქმედება ადგილობრივ სამშობლო ნიადაგზედ, სამშობლო ენის კულტურითა, და სრულიად საქართველოს სიყვარულისა და სამსახურის მხრითაც მეგრელნი არც ერთი სხვა კუთხის ქართველს არ ჩამორჩებიან. — განივლის ჟამი და სვანეთშიაც გაჩნდებიან იგივე მოძრაობა და მისი თანამსრბოლნი მოვლენანიც და ქართველობაც დინჯად უნდა მიეგებოს მათ: საქართველოს ტომთა და კუთხეთა კავშირის წიაღში ყველას აქვს უფლება და შეძლება თვის ძალთა და თავისებურებათა განვითარებისა, თვისის ენის კულტურისა ქართულთან ერთად. ქართველთა კავშირი იმ მიზნით არის შეკრული, რომ შეკავშირებულ მოძმეთ მოუაროს და განაგოს მათი საქმენი. რომ მათის წარმატებით განდიდდეს და აღორძინდეს მთელი საქართველო. — აფხაზეთშიაც არ გაჩნდებოდა სურვილი და მოძრაობა საქართველოსაგან განშორებისა, რომ ცენტრითგან წარგზავნილ კომისრებს „დერჟიმორდული" რუსის ადმინისტრაციისაგან გადმოღებული (სხვა მაგალითი ხომ არ უნახავსთ!) წესით არ შეჭრილიყვნენ ამაყ აფხაზთა ქვეყანაში და შეურაცხ-ეყოთ იგინი და აღერიათ იქაურობა. აფხაზეთს საქართველოსთან მთელი ისტორია საქართველოისა აკავშირებს, უმეტესად კი თვით დიდების დრო ჩვენი, და, მიუხედავად იმისა, რომ ენით აფხაზნი უფრო შორსა სდგანან ქართველთაგან, ვიდრე ჭან-მეგრელნი და სვანნი, მათ ფიქრადაც არ მოუვიდოდათ საქართველოს წიაღითგან განსვლა, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის დროს მთელი საქართველოს სიგრძე-სიგანე მოეცვა მძლავრ, ძველებურ, ეროვნულ ზახილს საქართველოს თავისუფალ ქვეყანათა შემოკრებისათვის, ძველი, დიდი სამშობლოს აღდგენისათვის, — გაღვიძებად იმ სულისა, რომელიც საუკუნეთ განმავლობაში ედგა საქართველოს კუთხეთ და რომელსაც მონობის დროს მხოლოდ ეძინა. მომავალი ფედერატიული საქართველო ამ ძველს სულს გააღვიძებს მთელს საქართველოში და აფხაზეთიც შესაფერ ბინას ნახავს საქართველოს პოლიტიკურ წიაღში, სადაც დაცული და უზრუნველ-ყოფილი იქმნება მიწა წყალი, ენა, ზნე-ჩვეულება, თავისუფლება, სიამაყე და ღირსება აფხაზეთის მკვიდრთა. — უფრო ძნელი გადასაწყვეტი იყო ჩვენი დამოუკიდებლობის დროს აჭარისა და ერთობ სამხრეთ-დასავლეთ მუსულმანურ საქართველოს პრობლემა. დიდი ხანია ეს მხარე მოსწყდა, ხანგრძლივ ბრძოლათა შემდეგ სრულიად, საქართველოს კულტურულ ორგანიზმს და ისლამის კულტურულ სფეროში შევიდა. იქ დარჩა ენა და სისხლი ქართული. ოდნავ ხსოვნაც წარსულისა, მაგრამ სული ისლამისა გაბატონდა. საქართველოს ეს კუთხე განუწყვეტელი ჯაჭვებით არის შეკრული ერთი მხრით ისლამთან და მეორე მხრით მოძმე ქრისტიან ქართველობასთან. იქ ბრძოლაა ქართველობისა და სარწმუნოების შორის, და რათგანაც მუსულმანური სარწმუნოება დიდი სოლიდარობის შემქმნელია მის აღმსარებელ სხვა და სხვა ერთა შორის, მუსულმანი ქართველობა ერთ-მორწმუნე ოსმალებთან უფრო მეტს ერთობას გრძნობდა, ვიდრე მოდგმითა და ენით მონათესავე ქართველებთან. ამით აიხსნება აჭარისა და ერთობ მუსულმან საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია ოსმალური. ჭარდა რამდენიმე დიდად შეგნებულ ქართველ პატრიოტთა, მთელი მხარე იყო ორმაგად განწყობილი, სძლევდა რა მიდრეკილების სასწორი ოსმალეთისაკენ, და განა საქართველოში გამინისტრებული მენდროვის თითის ქნევით გადაწყდებოდა ეს უძნელესი პრობლემა საქართველოს გაერთიანებისა, — თბილისითგან პროპაგანდისტების გაგზავნით, ღენერალ ღუბერნატორთა დანიშვნით, მუქარითა და უგნური ქადაგებით, რომ მათ საუკუნეებით დამყარებული წესი ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებანი შეეცვალათ თანახმად მენშევიკური პროგრამმისა? და ვერც შემდეგ გადაწყდება ეს ფრიად დელიკატური საკითხი, თუ საქართველოში ცენტრალიზმი კვლავ გამეფდა. ხოლო ფედერატიულ საქართველოში ეს მხარე შევა, როგორც ისლამის აღმსარებელი ქართველი ტომი, რომელსაც შეძლება და დახმარება ექმნება ჭიდეც საქართველოს და ამით შესძენს მთელს საქართველოს და კიდეც იცხოვრებს თავისუფლად, გარდაუტეხად მისის სულისა. — იმ წესით, რომლითაც მუსულმანმა უნდა იცხოვროს. თვით ოსმალეთის თურანული ნაციონალიზმიც გვიადვილებს, რომ ეს ქვეყანა საქართველოს ნაწილად ვაქციოთ, მაგრამ მუსულმანურ ნაწილად, რომელსაც გარანტია ექმნება სისხლისა და ენის დაცვისაც და სარწმუნოების თავისუფალი აღსარებისა და მისის წესით ცხოვრებისაც, რასაც მას ვერც ნაციონალისტური ოსმალეთი მიანიჭებს და ვერც ცენტრალისტური საქართველო.

ასეთი უნდა იყოს აგებულება მომავალი საქართველოისა, ვინაითგან მხოლოდ იგი შეეფერება ჩვენი ქვეყნის ვითარებას, ცხოვრებას, ხოლო რაოდენი ჟამი განივლის, სანამ გაჩნდებოდეს „ბუნებრივი ტენდენცია ცენტრალიზმისაკენ" და ცენტრალისტურად აქცევდეს ფედერატიულ საქართველოს, ეს აქ არ გვაინტერესებს, თუმცა სოციალ- და სხვა დემოკრატებისათვის ასეთი ტენდენცია რაღაც „რკინის კანონია" საზოგადოებათა განვითარებისა. ამ „რკინის კანონით" მომხდარ პროცესს მომავალმა თაობებმა გაუწიონ ანგარიში, თუ ეს პროცესსი მართლაც მოხდა, რაიცა ჩვენის აზრით სრულიადაც არ არის აუცილებელი, ვინაითგან არავითარი „რკინის კანონი" ამისა არ არსებობს. — რაოდენი იქმნება კანტონი საქართველოში, ან როგორი უფლებებით იქმნება ცენტრი მოსილი, როგორი იქმნება საზოგადოდ კონსტიტუცია საქართველოს ფედერატიულ სახელმწიფოისა — ეს სხვა საკითხებია და მათზედ ჩვენს ორგანოში შემდეგ იქმნება საუბარი.

ფედერატიული საქართველო იქმნება აგრეთვე დასაწყისი და საფუძველი მთელი კავკასიის კონფედერაციის შექმნისათვის, მაგრამ ამაზედაც სხვა დროს.

მიხაკო წერეთელი.

„თეთრი გიორგი", ქართველ პატრიოტთა ორგანო, პარიზი, 1930 წელი, სექტემბერი, № 32.

სოლიკო ხაბეიშვილი

საქართველომ დაკარგა ერთი თავისი საუკეთესო შვილთაგანი. ტერორისტული აქტის შედეგად ტრაგიკულად დაიღუპა თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ფონდის „დემოკრატია და აღორძინება" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **სოლიკო ევტიხის ძე ხაბეიშვილი**. დაქირავებული მკვლელის ტყვიამ კიდევ ერთი სანიმუშო მამულიშვილი გამოასალმა სიცოცხლეს.

ს. ხაბეიშვილი დაიბადა 1935 წლის 6 მარტს ქ. სამტრედიაში, მოსამსახურის ოჯახში. 1953 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1958 წელს.

1958 წლიდან იყო კომკავშირულ, საბჭოთა და პარტიულ სამუშაოზე, მუშაობდა სპის კომკავშირის კომიტეტის მდივნად, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის მდივნად, საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილედ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილების გამგის მოადგილედ, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილედ, განყოფილების გამგედ, მდივნად. 1992 წლიდან იყო ფონდის „დემოკრატია და აღორძინება" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე.

ს. ხაბეიშვილის სახელთან უშუალოდაა დაკავშირებული საქართველოს უახლესი ისტორიის მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა. ბევრი სახელოვანი წამოწყება, რომელთა განხორციელება რესპუბლიკის საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების აღმავლობას, მისი მოსახლეობის კეთილდღეობას ემსახურებოდა. ს. ხაბეიშვილის გეგმების და იდეების თვალსაწიერი უფართოესი გახლდათ, ენთუზიაზმი — ულევი, ენერგია და მუშაობის წყურვილი — უშრეტი. მან ჯერ კიდევ სიყმაწვილიდან გამომჟღავნა ლიდერის, გამოჩენილი ორგანიზატორის ნიჭი, შემოქმედებითი მუშაობისადმი დაუოკებელი ლტოლვა, კრიზისული, ექსტრემალური სიტუაციების განტვირთვისა და გახსნის უბადლო უნარი.

ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში კარიერისტებმა და ავანტიურისტებმა შეთითხნეს „ხაბეიშვილის საქმე" და ცდილობდნენ „კანონიერი" გზით სიცოცხლე მოესწრაფათ დიდი მომავლის მქონე სახელმწიფო მოღვაწისათვის. მან გაუძლო არაადამიანურ წამებას, ჯოჯოხეთურ სასჯელს და სიმართლის გზა იპოვა. სამწუხაროდ, ბნელმა ძალებმა არ აპატიეს ბოროტებაზე გამარჯვება და სიცოცხლეს გამოასალმეს ადამიანი, რომელიც მეგობრობის და სიკეთის მთესველად მოევლინა ქვეყანას.

ს. ხაბეიშვილის უნიკალური თვისებების შედეგია მრავალი საშვილიშვილო საქმე. უკანასკნელ პერიოდში მისი ნამოღვაწარიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ფონდის „დემოკრატია და აღორძინება" ჩამოყალიბება და მისი საქმიანობის სრულყოფა, ამ ფონდის მყარი იმიჯის მოპოვება როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. სწორედ მისი ხელმძღვანელობით სულ ახლახან მომზადდა საქართველოში, თბილისში, იუნესკო-ს ეგიდით საერთაშორისო ფორუმის გამართვა მსოფლიო კულტურისა და მეცნიერების ელიტის მონაწილეობით თემაზე „კულტურათა დიალოგი სოლიდარობისათვის აგრესიულობისა და შეურიგებლობის დასაძლევად". რაოდენ სამწუხაროა, რომ ბედის ირონიით თვითონ აგრესიულობასა და შეურიგებლობას ემსხვერპლა; თავად მის გულში ხომ ბოროტ ზრახვას არასოდეს გაუვლია — თავისი ცხოვრების უმძიმეს წლებში განცდილ-გადატანილიც კი რომანტიზმითა და საოცარი ადამიანური სითბოთი აღბეჭდილი ლექსების კრებულის სახით დატოვა. როგორც ფონდის „დემოკრატია და აღორძინება" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ მრავალ გაჭირვებულ ადამიანს დაამახსოვრა თავი ქველმოქმედებით, გულისხმიერებით, მრავალ უსახსროს დაეხმარა, ბევრი კეთილი საქმის განხორციელებას შეუწყო ხელი.

ს. ხაბეიშვილის მკვლელობა დაგეგმეს და ჩაიდინეს იმათ, ვისთვისაც დალაგებული და აყვავებული საქართველო თავისი ბნელი ზრახვებისა და მიზნების მსხვრევას, ამღვრეულ წყალში ოქროს თევზის დაჭერაზე ოცნების დასასრულს, უკანონო გზებით სიმდიდრის მოხვეჭის წყაროთა დახშობას ნიშნავს, ვინც გამუდმებული სისხლიანი ტერორით ლამობს დესტაბილიზაციის, არეულობის, შიშისა და უიმედობის ატმოსფეროს დამკვიდრებას. მაგრამ რეაქციის თარეშს დიდი დრო აღარ უწერია; გაიმარჯვებს საქმე, რომელსაც ს. ხაბეიშვილმა თავისი სიცოცხლე შესწირა — მას დემოკრატიული და აღორძინებული საქართველო ჰქვია.

ე. შევარდნაძე, ო. ფაცაცია, ვ. გოგუაძე, ნ. ლეკიშვილი, ილია II, გ. ლორთქიფანიძე, გ. ფანჯიკიძე, ჯ. ჩარკვიანი, ე. შენგელაია, ი. ფრანგიშვილი, ლ. ლოლობერიძე, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭიაურელი, ჯ. ჭკუასელი, გ. ანდრონიკაშვილი, ო. ჩერქეზია, თ. შაშიაშვილი, მ. მეზვრიშვილი, ნ. კეცხოველი, ი. ანდრიაძე, თ. სტეპანოვი, ნ. გაფრინდაშვილი, გ. გელეიშვილი, ჯ. მიქელაძე, ა. გოგელია, ნ. გურგენიძე, თ. მირზაშვილი.

საქართველოს პარლამენტი და მისი აპარატი დიდ აღშფოთებას გამოთქვამს ტერორისტული აქტის გამო, რომელმაც შეიწირა ფონდის „დემოკრატია და აღორძინება" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი

სოლიკო ხაბეიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ფონდის „დემოკრატია და აღორძინება" დირექტორთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ბარბაროსული ტერორისტული აქტის შედეგად დაიღუპა ფონდის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე

სოლიკო ევტიხის ძე ხაბეიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 24 VI, 4 საათზე, გამოსვენება 25 VI, 8 საათზე, განსვენებულის ბინიდან. მისამართი: ილია ჭავჭავაძის პროსპექტი, 75. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე.

სისხლიანი ტერორი დემოკრატიულ აღმშენებლობას ვერ შეაჩერებს

სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობა, საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა შეაფასა როგორც ამ ტრაგედიის დამკვეთთა მცდელობა, არ დაუშვას საქართველოს პრესტიჟის აღდგენა მსოფლიოს თვალში, ხელი შეუშალონ ქვეყანაში წესრიგისა და სამართლიანობის დამკვიდრებას. ბატონი სოლიკო ხაბეიშვილი, — ნათქვამია მოქალაქეთა კავშირის განცხადებაში, — ხელმძღვანელობდა დიდი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე ფონდს და დაკავებული იყო ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელებით. მისი საქმიანობის დამაგვირგვინებელი უნდა გამხდარიყო ფორუმი თბილისში — „კულტურათა დიალოგი სოლიდარობისათვის აგრესიულობისა და შეურიგებლობის დასაძლევად", რომელსაც მთელი მსოფლიოსათვის უნდა ეჩვენო, რომ საქართველოში დასრულდა ანარქიისა და განუკითხაობის ხანა.

მათ პასუხად, ვინც განახორციელა ეს შემზარავი ტერორისტული აქტი, მოქალაქეთა კავშირს მიაჩნია, რომ 14 ივლისს დაგეგმილი ფორუმი უნდა გაიმართოს. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ მსოფლიო, რომ სისხლიანი ტერორი საქართველოში დემოკრატიულ აღმშენებლობას ვერ შეაჩერებს.

საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნების ხელშემწყობი საზოგადოება „არჩევნების" განცხადება

საზოგადოება „არჩევნები" ყოველმხრივ გმობს ედუარდ შევარდნაძის სახელობის საერთაშორისო ფონდის „დემოკრატია და აღორძინება" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობის ტერორისტულ აქტს და მიიჩნევს, რომ პოლიტიკური თუ მაფიოზური მიზეზებით ორგანიზებული ყოველი ასეთი შემზარავი აქცია, ვისი სიცოცხლის ხელყოფისკენაც არ უნდა იყოს იგი მიმართული, ისევ დესტაბილიზაციისა და ურთიერთუნდობლობისკენ უბიძგებს წინასაარჩევნო პერიოდში ისედაც უაღრესად დაძაბულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში მყოფ ქვეყანას.

სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელები დროზე უნდა იქნან მხილებული.

თბილისში მომხდარი ტერორისტული აქტის გამო

20 ივნისს თბილისში მომხდარ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით, განცხადება გააკეთა რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისო ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ სანდრო კავსაძემ, განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია:

იმის მიუხედავად, თუ როგორ კვალიფიკაციას მისცემენ ამ ფაქტს სამართალდამცავი ორგანოები, მინდა განვაცხადო, რომ ამ მკვლელობის შემკვეთებს სურთ საქართველოში შექმნან შიშის, დაუცველობის, ადამიანის სიცოცხლის გაუფასურების ატმოსფერო. ამიტომ ისინი არ ერიდებიან არაფერს, ფეხქვეშ თელავენ ადამიანის უმთავრეს და უპირველეს უფლებათაგანს — სიცოცხლის უფლებას. ხსნა მხოლოდ ტერორისტული აქტების გახსნაშია. დამნაშავეთა დადგენა და მხილება დაუსვამს წერტილს დაქირავებულ მკვლელთა თარეშს საქართველოში. ბატონი სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობა პოლიტიკური ტერორია.

ამავე ტერორისტული აქტის გამო საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს პოლიტიკური ხასიათის ტერორისტული აქტი მიმართულია არა მხოლოდ ერთი მოღვაწის, არამედ მთლიანად იმ ძალების წინააღმდეგ, რომლებსაც სურთ საქართველოში დემოკრატიის გამარჯვება, ეკონომიკური და კულტურული აღმშენებლობა, წესრიგის აღდგენა.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად ყველაფერს იღონებს, რათა მოძებნონ და სამსჯავროს წინაშე წარსდგნენ ამ ტერორისტული აქტის ორგანიზატორები და შემსრულებლები.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს საქართველოს პარლამენტს საქართველოს მინისტრთა კაბინეტს

20 ივნისს, დილით, კიდევ ერთხელ გავხდით შემზარავი ტერორის მოწმენი — მოკლეს სოლიკო ხაბეიშვილი — ფონდის „დემოკრატია და აღორძინება" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. მკვლელების თავხედობას საზღვარი არა აქვს, ამჯერადაც დღისით, მოსახლეობის თვალწინ განსაკუთრებული ცინიზმით განხორციელდა ტერორისტული აქტი. ეს იყო პირდაპირი დარტყმა ქვეყანაში დაწყებული სტაბილიზაციის პროცესისადმი. ტერორისტებმა კიდევ ერთხელ შეგვახსენეს თავი. შეგვახსენეს ისიც, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა მხოლოდ განცხადებებითა და ეპიზოდური ოპერაციებით ვერ აღმოფხვრეს დამნაშავეებში დაუსჯელობის სინდრომი. არც ერთი გახმაურებული მკვლელობა გახსნილი არ არის, საქართველოს ქალთა ორგანიზაციები კატეგორიულად მოითხოვენ: დაცული იყოს მოქალაქეთა უზენაესი უფლება — სიცოცხლის უფლება! ბოლო მოეღოს იმ ვითარებას, რომლის მთელი სიმძიმე საბოლოოდ ისევ ქალებისა და ბავშვების მხრებზე გადადის. დროა, ხელისუფლებამ შეურიგებელი პოზიცია დაიკავოს არა მარტო დამნაშავეთა, არამედ მათ მიმართაც, ვისაც ევალება ქვეყანაში წესრიგის დამყარება.

საქართველოს ქალთა საბჭო, საზოგადოება თბილისელის ქალთა საკრებულო, საქართველოს საქმიანი ქალები, ქალთა კლუბი „მეტიხი", აფხაზეთის ქალთა საბჭო, ჟურნალისტ ქალთა ასოციაცია, ქალთა უფლებათა დაცვის ასოციაცია — „კრავაი", ქართველ და გერმანელ ქალთა განათლების, კულტურისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, სკოლამდელი აღზრდის პედაგოგთა ასოციაცია, ჯარისკაცთა ხსოვნის ფონდი, ასოციაცია „ქალი და ბიზნესი", ქალთა ორგანიზაციების გაერთიანება, „საქართველოს ქალები არჩევნებისათვის".

ინფორმაცია

მოეთხოვოს მკაცრი პასუხი!

ედუარდ შევარდნაძის ფონდის „დემოკრატია და აღორძინება“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ხოლიკო ხაჩიშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: — ხელისუფლების უნიათობამ დამნაშავეობასთან ბრძოლისადმი, არა პრინციპულმა და საფუძვლიანმა, არამედ კამპანიურმა დამოკიდებულებამ, მკვლელობა, ძალადობა, ძარცვა-ყაჩაღობა და სხვა ჩვეულებრივ მოვლენად, ცხოვრების ნორმად აქცია.

20 ივნისს მომხდარი მკვლელობა კიდევ ერთი საფუძველი გახდა იმისათვის, რომ მკაცრი პასუხისმგებლობის წინაშე წარსდგნენ ყველა ძალოვანი უწყების უმაღლესი ხელმძღვანელი პირები.

ნიქოზში ნაღმი აფეთქდა

27 მაისს, მზიან და უღრუბლო დილით, გორის რაიონის სოფელ ნიქოზში დაბანაკებული სამშვიდობო ძალების მესამე ბატალიონის ეზოში, ქვეითთა საბრძოლო მანქანა („ბეემპე“) აფეთქდა.

მებრძოლები საზარელი სურათის მხილველნი გახდნენ: რამოდენიმე ჯარისკაცი სისხლში ცურავდა. სამი უსულოდ ეგდო. ცოცხლად გადარჩენილები სასწრაფოდ გორის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაღმის აფეთქებას (სწორედ ნაღმი იყო ჩამონტაჟებული „ბეემპეში“) უნდა მოჰყოლოდა ექო, რომელიც დაინტერესებულ ძალებს (მკითხველს ბოდიშს ვუხდით ზოგადი მინიშნებისთვის, რომ გამოძიებას რაიმე ზიანი არ მივაყენოთ) აუცილებლად სჭირდებოდათ.

იმავე დღეს, შემთხვევის ადგილზე გავიდნენ გორის სამხარეო სამხედრო პროკურორი ვაჟა ქაცანაშვილი, სხვა საგამოძიებო სამსახურების მუშაკები.

დაიწყო გამოძიება და... აფეთქებიდან ერთი კვირის თავზე კი ოთხი ეჭვმიტანილი დააკავეს: ამ ბატალიონის ოთხი ოფიცერი.

ზურაბ ვაშაკიძე,
„სრ“. საკ. კორ.

ბაზარს ცეცხლი წაეკიდა

საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოს პრესცენტრში აცნობეს, რომ გორში ცეცხლი გაუჩნდა ცენტრალური საკოლმეურნეო ბაზრის დახურულ შენობას, რომლის ნაწილიც დაიწვა.

შენი ხმა გადმოდიოდეს...

10 წლის ბექა ცეცხლაძე მუსიკალურ ოჯახში დაიბადა. ბაბუა და მამა შესანიშნავად მღეროდნენ. 5 წლის ბექა უკვე ცნობილი ლოტბარისა და პედაგოგის თემურ ქევხიშვილის ანსამბლ „დარიალში“ მღეროდა.

დღეს ბექა თბილისის 61-ე საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეა, შესანიშნავად არის დაუფლებული გიტარაზე დაკვრას, პოპულარული გიტარისტის ოთარ რამიშვილის ხელმძღვანელობით, ბრწყინვალედ ასრულებს მრავალ ქართულ სიმღერას და მონაწილეობს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ კონცერტებში „ესტრადაზეა პატარა ვირტუოზები“, ახლახან აქ ჩატარებულ საერთაშორისო ტელემარათონში იგი კონკურსში გამარჯვებული გამოვიდა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა!

გვანცა დუჩიძე.
სიმონ კილაძის ფოტო.

ჩემი თანამედროვე



ვინც არისხებს ზარებს...

აფიშებზე და პრესაში რეზო ესაძე რამდენჯერმე „სახალხო არტისტად“ მოიხსენიეს. სამწუხაროდ, ეს საპატიო წოდება, მაშინ ოფიციალურად ვერა და ვერ გაფორმდა. და აი, ახლახან, „დემოკრატია“ წაეშველა, თუ რა იყო, სამოცი წლის ხელოვანი „ღირსების ორდენით“ დაჯილდოვდა...

დღევანდელ ქართულ კინოში იშვიათია რეჟისორი, რომელიც ასეთი სიმწვავით ეხებოდეს ჩვენი საზოგადოების ზნეობრივ პრობლემებს, ასე ერთიანად აშიშვლებდეს ჩვენს მანკიერ მხარეებს, ასე არისხებდეს განგაშის ზარებს, ანუ ნაკლოვანებათა გამოსწორებას გვიკიჟინებდეს.

მწვავე სატირასა და კეთილ იუმორს, ზომიერ სარკაზმსა და ირონიას ნიჭიერად იშველიებს რეჟისორი და დაუვიწყარ სახეებსა და სიტუაციებს ქმნის.

აი, „ნეილონის ნაძვის ხე“ — ფილმი უმოქმედო მოძრაობაზე... გმირობის ტოლფასი იყო ოთხმოციანი წლების დასაწყისში ასეთი მამხილებელი ნაწარმოების გადაღება.

— კინაღამ ჯვარს მაცვეს, — იგონებს რეჟისორი, — ქართველები ასეთები არა ვართო... საერთოდ, ეჭვი შეეპარათ ჩემს ქართველობაში... (საფუძველიც ჰქონდათ: მე, აქედან გაძევებული, მრავალი წელიწადი ლენინგრადში ვცხოვრობდი... მაგალითად, „ერთი ნახვით შეყვარება“ „ლენფილმშია“ შექმნილი... მერე, ისევ ჩვენების, კერძოდ, რეზო ჩხეიძის დახმარებით გადმოვედი საქართველოში), ჰოდა, ახლა, სწორედ ამ ხალხს არ მოსწონდა „პირში უძრახეს“ პოზიცია. ედუარდ შევარდნაძის დახმარება რომ არა, ფილმს ეკრანი არ ეღირსებოდა... მერე კი, იცოცხლეთ, მილოცავდნენ. არადა, მაღიზიანებდა ეს ტაში და შექება. მე სულ სხვა რამეს მოვითხოვდი: თითქოს საკუთარ ცხედართან ვიდექი, როგორც ჭირისუფალი, როგორც დამტირებელი და, მოვითხოვდი, აღტაცების სიტყვები კი არ წარმოეთქვათ, სამძიმარზე მოსულიყვნენ...

არავინ დაუფიქრებია რეჟისორის გუმანსა და წინათგრძნობას. პირიქით, დასჯა მოუნდომეს. „ლენფილმში“ გადაღებული კინონაწარმოებისათვის — „ერთი ნახვით შეყვარება“ — ექვსი წლით დისკვალიფიკაცია მისცეს. საერთოდ, ფილმის წაშლა გადაწყვიტეს (ეს 1975 წელია, თან ქალაქში, სადაც რევოლუციის აკვანი დაირწა და მისი მმართველი რომანოვია).

კიდევ ერთი ფილმი-მხილება „წკიპურტები“ ოც წელიწადს იდო თაროზე და რუსები ჩუმ-ჩუმად უჩვენებდნენ მას სხვადასხვა საერთაშორისო სიმპოზიუმებზე. 1976 წელს უნგრეთში იგი წლის საუკეთესო ფილმად აღიარეს და მხოლოდ ახლა, ახლახან, „პერესტროიკის“ ხანაში, იაკოვლევის მეოხებით მისცეს „მწვანე შუქი“.

„წისქვილი ქალაქის გარეუბანში“ კი თითქმის უცნობია ქართველი მაყურებლისთვის. იგი არც არსებობს ქართულად — ცენტრალური ტელევიზიის დაკვეთით არის გადაღებული და „ოსტანკინოს“ ახალგაზრდების მონდომებით ძლივს გაუშვეს მეორე არხით იმ მომენტში, როდესაც, პირველზე, „სპარტაკის“ რომელიღაც საერთაშორისო შეხვედრის რეპორტაჟს უჩვენებდნენ.

— იმ ხალხს, იმ საზოგადოებას, რომელთაც თქვენს ფილმებში ასე ამათრახებთ, ბოლოსდაბოლოს, ეშველება რამე?..

— ძალიან შორს ვარ იმათგან, რომლებიც, ამ ათი წლის წინათ, ყანწში ქართულ მიწას ჰყრიდნენ და აცხადებდნენ, — მსოფლიოს ჰიპი საქართველოაო. შორსა ვარ იმათგანაც, ახლა რომ გაჰყვირიან, ეს ვინ ვყოფილვართ, ქართველებიო. მე პირადად, ისე როგორც არასდროს, გულში ულრმესი ჭრილობით, ვამაყობ ჩემი ხალხით. მჯერა ქართული პროტოიბერიული კულტურის არსებობისა, მწამს, რომ კაცობრიობა ერთ დროს ცხოვრობდა მითოლოგიური ცხოვრებით, რომ შემდეგ მითოლოგიური, ფრინველური ცხოვრების მაგივრად დადგა დრო ურთიერთმომგებიან საფუძველზე ცხოვრებისა, რამაც გამოიწვია სიკეთის მთესველი ქართული სულის შეზღუდვა, ის სულ სხვა რეალობაში აღმოჩნდა, და ასე მოვიდა მეოცე საუკუნის ბოლომდე — ველურ კაპიტალიზმამდე, რომელიც ქართულ სულს ისე ესადაგება, როგორც ჩანგს სახედარი.

კი ბატონო, გვყავს რუსთაველი, პეტრე იბერი, გურამიშვილი, ვაჟა, ილია, აკაკი, გალაკტიონი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პოლიტიკური ცივილიზაციის თვალსაზრისით იგივე დონე გვაქვს...

ამის დადასტურებაა, თუნდაც, ჩვენი დღევანდელი პარლამენტი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი, თუმცა, კი ნიჭიერი პიროვნებებისაგან შედგება, საქმეს მაინც ვერ გააკეთებს (და ვერც აკეთებს)...

— მაინც რა სჭირს ასეთი?

— ჩვენი პარლამენტის გასაჭირი მისი ახლანდელი სტრუქტურის არაქართულობაშია.

პოლიტიკა და პარლამენტი საერთო ქართული კულტურის ნაწილი უნდა იყოს. ქართული კულტურა კი, ჩემი აზრით, არც აღმოსავლური და არც დასავლური არ გახლავთ. იგი მესამე კულტურაა, რომელიც ქართულ ფენომენს ეყრდნობა და თავის თვითმყოფადობას წარმატებულად უთავსებს, როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლური კულტურის საუკეთესო მიღწევებს. იგი ქართულ ხასიათს უპასუხებს. ამიტომ დაუშვებლად მიმაჩნია ჩვენი პარლამენტი აგებული იყოს რომელიმე დასავლურ ან აღმოსავლურ, თუნდაც ყველაზე უფრო პროგრესული ქვეყნის პარლამენტის პრინციპით.

ქართული საერთო სახელმწიფოებრივი მართვის სტრუქტურა ქართველი კაცის ხასიათის გათვალისწინებით უნდა აიგოს.

— კერძოდ?

— კერძოდ, როგორც უნდა მისაყვედუროს ბატონმა ირაკლი წერეთელმა, მე საქართველოს ფედერალური მართვის დაუოკებელი მომხრე ვიყავი, ვრჩები და, დარწმუნებული ვარ, კაცი, რომელსაც ვაფასებ, ამ საკითხზე პირადი აზრის გამოთქმის გამო „აგენტად“ არ მომნათლავს. აქვე შენდობას ვთხოვ მკითხველსაც, რომელსაც იგივე პრობლემაზე, ალბათ, სხვა მოსაზრება ექნება.

ჩემი აზრით, საქართველო არასდროს არ ყოფილა და ვერც იქნებოდა ისეთი ფორმით ერთიანი სახელმწიფო, რასაც, ჩვენი დღევანდელი პარლამენტი ესწრაფვის. იგი ყოველთვის სადროშოებად, საერისთავოებად და სამთავროებად იყო დაყოფილი. მათ — განსხვავებული, განუმეორებელი სახის, იერის და ხასიათის მატარებელთ — ერთიანი ქართული კულტურა, ენა და სარწმუნოება აერთიანებდა, რომელიც ძლიერდებოდა ან სუსტდებოდა იმის მიხედვით, თუ ქვეყანას ვინ, როგორი მეფე ედგა სათავეში და პიროვნულად რამდენად გამოხატავდა იგი საერთო ქართულ ხასიათს.

რაკი ქართული სახელმწიფოებრივი ყოფა ერთდროულად უამრავ, ერთმანეთის გამომრიცხავ ადგილობრივი ხასიათის პრობლემას და ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს მოიცავს, მისი მმართველობის სპეციფიკაც სწორედ ამ ხასიათმა და ინტერესმა უნდა განაპირობოს.

— და, როგორ წარმოგიდგენიათ ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი მმართველობის სტრუქტურა?

—ყველა მხარის თუ რეგიონის მმართველობას პარლამენტში უნდა ჰყავდეს ორი თუ სამი, წარმომადგენელი. რეგიონულ პრობლემებს ადგილებზე ადგილობრივი მმართველობა წყვეტს. საერთო სახელმწიფოებრივ მმართველობაში ისინი თავის წარმომადგენლებს საერთო სახელმწიფოებრივი პრობლემების გადასაწყვეტად გზავნიან.

ვფიქრობ, სწორედ ასეთ შემთხვევაში, ქვეყნის ძლიერი პარლამენტი და ძლიერი პრეზიდენტი არამც თუ საფრთხეს შეუქმნის წყობის დემოკრატიულ არსს, ან წარმოშობს სეპარატიზმს, არამედ ქვეყნისა და მისი ნაწილების თვითმყოფადობის განვითარებას არნახულ სტიმულს მისცემს.

სამოცდაათი წლის განმავლობაში თვითმყოფადობის ყოველგვარმა დათრგუნვამ ყოფნა-არყოფნის ზღვრამდე მიგვიყვანა და დღეს გამოვიყურებით, როგორც არქაული ერი, რომელიც ერთი შეხედვით თითქოს ადრე უნდა აღგვილიყო, მაგრამ, საბედნიეროდ, ეტყობა, ჩვენ მაინც ვართ დიდი ნაშთი იმ პროტოიბერიული კულტურისა, კაცობრიობის იმ დიდი წარსულისა, რომელსაც ერთ დროს ფლობდა, მერე გაურკვეველი მიზეზების გამო ასცდა. მომავალში ახალი ფორმით და შინაარსით აუცილებლად დაუბრუნდება მას ქვეყანა, ამიტომ, გვინდა თუ არ გვინდა, დღეს ვიმყოფებით ჩვენთვის სრულიად მიუღებელ მახინჯ ყოფიერებაში, რომლიდანაც თავის დაღწევა თანამედროვეობის პოლიტიკურ ლაბირინთებში ოსტატურ მანიპულირებას და საკუთარ არსში ფაქიზ ჩაღრმავებას მოითხოვს.

— ბატონო რეზო, მახსოვს, ამ შვიდი-რვა წლის წინათ, თქვენც შეუერთდით ეროვნული მოძრაობის აზვირთებას... თქვენი შემოქმედებიდან გამომდინარე, სულაც არ იყო გასაკვირი შინაგანადაც აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციაზე მდგარიყავით.

— სხვაგვარად არ შემეძლო. ბიძგი მომცა ყვარელში დატრიალებულმა ამბებმა. ავიღე აპარატი, წავიყვანე ბიჭები და წავედი... აღმოჩნდა, რომ რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელობა მოსულის ინტერესებს უფრო გამოხატავდა, ვიდრე თავისი ხალხისას, არადა, დამნაშავე თვითონ იყო ყველაფერში: იყიდებოდა მამაპაპეული მიწა და ერთ ღამეში იდგმებოდა ზედ სახლი. სოკოებივით გამრავლებულიყო ასეთი სახლები. ეს მაშინ, როდესაც აქაურ კაცს მრავალი წლის განმავლობაში ერთი კვადრატული მეტრიც კი არ ჰქონდა მიღებული.

ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით იმისათვის, რომ მოსული უკან გაბრუნებულიყო არა როგორც მტერი, არამედ როგორც მოყვარე... მაშინ ჩვენ ჩალის ფასად გაყიდული ჩვენი მიწა მოსულისგან სამმაგ ფასად გამოვისყიდეთ და ამ საშვილიშვილო საქმეში, მახსოვს, ბევრის გასაკვირად, ძალიან დაგვეხმარნენ ბატონები: ნოდარ ჰითანავა, ოთარ ქვილითაია, ბეგლარ მახარაშვილი, ირაკლი ანდრიაძე და სხვები. აქვე მინდა დავსძინო: იმ დროს ყვარელი ყველაზე ფეთქებადი რაიონი იყო და პრობლემა თოფის გაუსროლელად მოგვარდა.

იმის მაგივრად, რომ კახეთის ფაქტი განგვეზოგადებინა სხვა ფეთქებად რაიონებზე, პირიქით ვქენით ყოველივე. სახალხო ფრონტში რომ განვაცხადე, ვეცადოთ, სხვაგანაც არ მოხდეს მსგავსი რამ, პირად ამბიციებს ნუ ვანაცვალებთ ქვეყნის ბედს-მეთქი, სტვენა და ფეხების ბაკუნი დამიწყეს...

რეზო ესაძის ფენომენი აერთიანებს ფიზიკოსსაც (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი დაამთავრა და ერთხანს მასწავლებლობდა კიდეც), პოეტს („ლაჩარს ვუქებთ სივაჟკაცეს და ლაჩრობას ვწამებთ... ძლიერს, მაგოგის და გოგის ცოდვას თავს ვიდებთ და ვინანიებთ! წახდა მიწა, წახდა გვარი, წახდა ზნე და ხასიათი, ჭეშმარიტი კაცი ახლა საძებნელი გახდა სანთლით“), იუმორისტს (უნივერსიტეტის ცნობილი გაზეთის „ჭინჭრის“ ერთ-ერთი დამაარსებელი), მხატვარს (ამ ათი წლის წინათ „მხატვრის სახლში“ და საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანაში მოეწყო მისი ნამუშევრების გამოფენა), მსახიობს (შესანიშნავი სახასიათო როლები ირაკლი კვირიკაძის „ქალაქ ანარაში“, თენგიზ აბულაძის „მონანიებაში“ და ა. შ.), შეგირდი საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში კინორეჟისორ მიხეილ რომისა, შემდეგ თვითონაც პედაგოგი ხდება — აყალიბებს გაერთიანება „დებიუტს“ და რამდენიმე უნიჭიერეს კინორეჟისორს აფრთიანებს...

— ამჟამად რას საქმიანობთ?

— ჯერ კიდევ „ნეილონის ნაძვის ხეზე“ მუშაობისას მივხვდი, რომ აუცილებელი იყო ბრძოლა ნიჭიერების გასათავისუფლებლად, რომ შრომის ანაზღაურება უნდა მომხდარიყო ნიჭიერების მიხედვით. ეს ყოველივე ჩავწერეთ კიდეც დამოუკიდებელი სტუდია „+1“-ის ქარტიაში. ეს სტუდია „დებიუტის“ ბაზაზე შევქმენით, შევეცადეთ მოგვენახა კომერციული პარტნიორი, რომელთანაც ერთად დავაფუძნეთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თეთრი ქალაქი“, ანუ წერეთლის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა აგვეშენებინა ქალაქში ქალაქი, სადაც მოხდებოდა ზნეობის, დანგრეული სულიერი კულტურის, მივიწყებული ტრადიციების აღდგენა, ჩაისახებოდა მომავლის იმედი...

„თეთრ ქალაქში“, ჩვენი ჩანაფიქრით, უნდა აშენდეს დიდი სასტუმრო ბაღით, კინოსტუდია, კინოსკოლა, კინოთეატრი და თეატრი, რა თქმა უნდა, ამ დროში, ეს არის „წითელ წიგნში“ შესატანი ოცნება. ოღონდ სტაბილიზაცია მომხდარიყო და ჩვენ გვყავდა ინვესტორები, ისინი დიდ ფულს დებდნენ. სახელმწიფოს მეთაურის პირადი მხარდაჭერითა და მიწერილობებით ევროპის ქვეყნებში დავამყარეთ კონტაქტები და დაპირებებიც მივიღეთ, მაგრამ ჩვენს დაწყნარებას საშველი არ დაადგა, ამიტომ ინვესტორებიც ხელ-ხელა დავკარგეთ...

თუმცა, ფარ-ხმალი არ დაგვიყრია, შევქმენით „თეთრი ქალაქის“ ფონდი და დავიწყეთ შეზღუდული კომერცია: შევინარჩუნეთ ორმოცდაათკაციანი, წარსულში სახელგანთქმული ტრამვაი-ტროლეიბუსის სამართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, მისივე მინიატურების თეატრი, სპორტდარბაზი, კინოსტუდია „+1“, კინოკლუბი თავისი დანადგარებით, საპროექციოთი, ვიდეოკლუბი, აღვადგინეთ რამდენიმე პავილიონი. სტუდია ფეხზე იდგა, ყველანი მომავალს შევხაროდით და ერთ დღეს... ავმა ძალებმა ცეცხლს მისცეს იქაურობა, დაგვიწვეს არა მარტო თეატრი და სტუდია, არამედ ყველაფერი, რაც კი გაგვაჩნდა.

ასე დავრჩით, ჯერჯერობით, ღვთის ანაბარა და, იმის მაგივრად, რომ ეს უზარმაზარი წამოწყება არ ჩაკვდეს, გული მთლად არ გაგვიტყდეს, ქალაქისა და დიდუბის რაიონის ზოგიერთი მესვეური ცდილობს ჩანაფიქრზე ხელი აგვაღებინოს. რაღას არ გვიგონებენ, ერთმა ისიც კი იკადრა: „ესაძემ ოთხი ძირი კიპაროსი მოჭრაო“... ღმერთი რატომ არ გაიცინებს!... ასეთ სიტუაციაში ვიღებ ორსერიან ფილმს სახელწოდებით „ჰერი“, რომელიც ჩემს ადრეულ ფილმებზე გაცილებით ძნელია, და მასაც ვიღებ, როგორც დროის გამოწვევას...

რეზო ესაძის — ხელოვანისა და მოქალაქის საფიქრალი და სატკივარი, ერთთავად, მშობელი ხალხია, მიწაა, რომელსაც გვედავებიან და ჩვენი ბედოვლათობის შემყურე, კიდევ ბევრი შეგვედავება...

იგი მკაცრი რეალისტია, „ფერადი სათვალით“ ჯერ კადრიც არ გადაუღია, ულიხს პირში არასოდეს მოფერებია..

ასეთი მამულიშვილები მომეტებულად გვჭირდება დღეს — მონანიების, სულიერი განწმენდის ჟამს — ვინძლო, დროდადრო, სარკეში ჩაგვახედონ. საკუთარი სახე და ნამოქმედარი დაგვანახონ, შეგვიძახონ, გვიკიჟინონ, დაგვაიმედონ...

ვილენ მარდალეიშვილი.

მაგალი თოდუა — გელათის აკადემიის პირველი პრეზიდენტი

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

წლეულს, 25 მაისს, საქართველოს სასულიერო და საერო ხელისუფლების ერთობლივი დადგენილებით საქართველოს საპატრიარქოს ეგიდით ქუთაისში დაარსდა გელათის მეცნიერებათა აკადემია. მისი მიზანია აღდგეს წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის მიერ დაფუძნებული გელათის აკადემიის ტრადიციები.

გელათის მეცნიერებათა აკადემია შედგება 21 ნამდვილი წევრისაგან, საპატიო და უცხოელი წევრებისაგან. დღეისათვის ნამდვილ წევრებად არჩეული და დამტკიცებულია 14 მეცნიერი ანუ საერთო რიცხვის ორი მესამედი. მათ მიენიჭათ აკადემიკოსის წოდება და გადაეცათ შესაბამისი სიგელი.

20 ივნისს საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა აკადემიკოსთა სხდომა, რომელზეც ორ ტურად, ფარული კენჭისყრით გელათის მეცნიერებათა აკადემიის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს მაგალი თოდუა, აკადემიკოს-მდივნად — მიხეილ ქურდიანი.

ქართველთა სამი მედალი

12 ქვეყნის 300-მდე სპორტსმენი, მათ შორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები, პროფესიონალთა ორთაბრძოლებში გამარჯვებულნი... აი, ასეთ სოლიდურ კამპანიაში იასპარეზეს კიკბოქსინგის ქართველმა ოსტატებმა კიევში გამართულ დსთ პირველობაზე და მშვენიერი შედეგიც აჩვენეს. მათთვის ეს იყო ასეთი მაღალი რანგის პირველი საერთაშორისო ტურნირი და მით უფრო მეტს ფასს იძენს მოპოვებული წარმატება. ჩვენი რესპუბლიკის ტაიბოქსისა და კიკბოქსინგის ფედერაციამ (პრეზიდენტი გოჩა ჯავახია) შეჯიბრებაზე 4-კაციანი ეროვნული ნაკრები გამოიყვანა და სამმა მათგანმა მედლებით დაიმშვენა მკერდი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია **ზაზა ბაბაძის** (57 კგ) შესანიშნავი გამოსვლა. მან მეოთხედფინალში, მასპინძელთა წარმომადგენელს — სპორტის ოსტატს მოუგო, ნახევარფინალსა და ფინალში კი, შუა აზიის ძლიერი გუნდის წევრებს სძლია დაძაბულ პაექრობაში და „დსთ“-ს ჩემპიონი გახდა. დავძენთ, რომ შუააზიელებმა ყველაზე მეტი საპრიზო ადგილი დაიკავეს.

ბრინჯაოს მედლები გადაეცათ **ამირან ხვიბლიანსა** (54 კგ) და **ვანო კუტალაძეს** (63 კგ).

გამოუცდელობის გამო ვერ მოხვდა უძლიერესთა რიგებში უშანგი ტყემალაძე (67 კგ.) მეოთხედფინალში მისი მეტოქე — მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი, პროფესიონალი კიკბოქსიორი ა. შპიგელი ყველას იოლად გაუსწორდა, ჩვენმა ათლეტმა კი სამივე რაუნდის მანძილზე შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია და საბოლოოდ საპატიო მეხუთე ადგილი დაიკავა.

ტურნირს ესწრებოდა კიკბოქსინგის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი იტალიელი **ენიო ფალსონი**. მან დადებითად შეაფასა ქართველთა გამოსვლა და გაუკვირდა კიდეც — ასეთ პრესტიჟულ ტურნირში სამი მედალი რომ დავიმსახურეთ. ბატონმა პრეზიდენტმა ჩვენი ეროვნული ნაკრები მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე მიიწვია და წამყვანი გუნდების სიაში შეიყვანა. გულშემატკივრებს ვაცნობებთ მნიშვნელოვან სიახლეს — ენიო ფალსონიმ აქვე, კიევში საქართველოს ტაიბოქსისა და კიკბოქსინგის ფედერაცია ოფიციალურად გააწევრიანა მსოფლიო ასოციაციაში!

ამიერიდან ჩვენი სპორტსმენები დამოუკიდებლად იასპარეზებენ კონტინენტისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე.

ზემოთ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი ვახსენეთ, რომელსაც ნოემბერში უკრაინის დედაქალაქი უმასპინძლებს. მასში 60 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ნაკრების დაფინანსების საკითხი არ მოგვარდა და სპონსორი არ გამოჩნდა, ამ ფორუმზე ქართველები ვერ გაემგზავრებიან... გულისხმიერ ხალხს ფედერაციასთან დაკავშირება შეუძლია მინისტრთა კაბინეტის შენობის სპორტულ დარბაზში. ტელეფონები 31-01-79, 98-61-37.

გია პლატონიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა
1995 წლის 24 ივნისიდან დაადგინა კუპონის
მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	940,938.63	კუპონი
ავსტრიული შილინგი	132,465.02	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	2,080,649.14	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	453,355.70	კუპონი
გერმანული მარკა	931,633.30	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	832,214.47	კუპონი
დანიური კრონი	238,358.12	კუპონი
100 იტალიური ლირა	79,341.18	კუპონი
კანადური დოლარი	941,007.26	კუპონი
ნორვეგიული კრონი	209,003.74	კუპონი
აშშ დოლარი	1,300,000.00	კუპონი
ფინური მარკა	303,349.54	კუპონი
ფრანგული ფრანკი	265,522.00	კუპონი
შვედური კრონი	179,669.38	კუპონი
შვეიცარული ფრანკი	1,122,624.07	კუპონი
10 იაპონური იენი	153,772.33	კუპონი
ეკიუ	1,718,859.66	კუპონი
10 ესპანური პესეტა	107,154.20	კუპონი
10 ბერძნული დრაჰმა	57,607.79	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	2,126,280.69	კუპონი
ისლანდიური კრონი	20,600.97	კუპონი
ქუვეითური დინარი	4,348,554.33	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	8,018.48	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	88,452.05	კუპონი
სინგაპურული დოლარი	931,364.50	კუპონი
10 თურქული ლირა	300.26	კუპონი
ეგვიპტური გირვანქა	381,232.29	კუპონი
რუსული რუბლი	215.00	კუპონი
ლიტვური ლიტი	244,347.50	კუპონი
ლატვიური ლატი	1,886,852.90	კუპონი
ესტონური კრონი	87,554.45	კუპონი
100 უკრაინული კარბოვანეცი	690.15	კუპონი
ყაზახეთის ტენგე	15,028.50	კუპონი
მოლდავეთის ლეი	213,404.70	კუპონი
ყირგიზეთის სომი	89,177.70	კუპონი
10 ბელორუსიის მანეთი	851.40	კუპონი
უზბეკეთის სუმი	35,412.65	კუპონი
აზერბაიჯანული მანათი	221.45	კუპონი
სომხური დრამი	2,397.25	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

ხსოვნა

გია კიკნაძე

ძველებური ნათქვამია, — ომის დროს მამები ასაფლავებენ შვილებს, მშვიდობიანობის დროს კი, — პირიქით, შვილები მამებსო. უკუღმა მოხდა, ჩვენო გია, საქართველოს თავზე ომმა გადაიარა, მშვიდობის შუქი გამოჩნდა და შენ სწორედ მაშინ მოგისწრო ბრმა, მართლაცდა უსამართლო ტყვიამ.

მაშველთა კორპუსის წევრი იყავი და თუ ვინმე უნდა ყო ლიყო მაშველთა კორპუსის წევრი, ეს შენ უნდა ყოფილ ვი. ყველას შველოდი, ყველას თანაუგრძნობდი, ყველას მხ ედექი, — მეზობელს, მეგობარს, ნათესავს, უცნობსაც საუბედუროდ, ერთხელ გაგიჭირდა და შენ ვერავინ გიშველა.

ახლა ყველა დანანებით ამბობს, — გია კიკნაძე არ იყოო სი დილის ღირსი. არც ირაკლი იყოო ამდენი ტკივილის ღირსი, არც სოფიკო — ამდენი ცრემლის ღირსი, არც კახა — ამ დარდის ღირსი... მაშ, რა მოხდა, ჩვენო დაულევნებელო ვ ცო, ღმერთმა ისევ კარგს ხტაცა ხელი? რას ვიზამთ, ესეც ბე დისწერაა.

შენი დაბადების დღე მოვიდა, — 25 წლისა გახდი, მო ჩვენს ოჯახში შენი თანატოლები, შენი კეთილმოსურნენ უშენოდ მოვლენ, გადღეგრძელებენ ცოცხლად, როგორც ხოვხართ, — 28 წლისა. ასე დარჩი ყველას გულში, — მ თვარე, ამაყ, სიყვარულით სავსე რაინდად.

მოვლენ შვილო, აქაურობას აახმიანებენ, ისევ „ვიდეოზე“ ხავენ, მოგისმენენ... მერე წავლენ და ჩვენ ვრჩებით ძველებუ მწარე სინამდვილისა და მოუშუშებელი ჭრილობის წინაშე. არსებობს წამალი ასეთი ჭრილობისა. დროც ვერა მკურნავს

გილოცავთ, ჩვენო გია, დაბადების დღეს. მანდ მაინც რგად გვეყოლე, მანდ მაინც ბედნიერად გაატარე ის წლე რაც აქ დაგაკლდა. მანდ მაინც შოიმკე იმ სიკეთის მადლი, აქ სხვებს უწილადე, სხვებს გაუზიარე. ნათელში იყავი მარ

შენი ოჯახი

ფონდი „დემოკრატია და აღორძინება“ ღრმა მწუხარებით იუ ყება, რომ ტერორისტული აქტის შედეგად ტრაგიკულად დაიღუ ფონდის თანამშრომელი

აკაკი რევაზის ძე დალაქიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გამოსვენება 24 VI, 3 საათზე, განსვენებულის ბინიდან, მის მართი: ეკა ბეჟანიშვილის ქუჩა, კორპ. ა, პირველი სადარბაზო.

დედა მედეა, მამა ვალიკო, და ლია, მამ და ლილი, ბიძები ნიკოლოზ, თემურ წიკ ურები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ყვე ახლობელი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელგუჯა წიკლაური

დაკრძალვა კვირას, 25 VI, 2 ს., თბილისი, ჩოდრიშვილის ჩიხი, № 8.

მეუღლე გულნარა, შვილები თეა, თამუნა, ნათია, მამი ქსენია, დები ეთერი, ინეზა, ძმა პაატა, თემურ, ცირა ხოშტარი ები, სიძეები რუსლან მიმინოშვილი, თემურ ცენტერაძე, რძა ნატო ნადარეიშვილი, დისწული ჟანა, დეიდები ჟუჟუნა, ლე ვერა, ბიძა პროკოფი პაპავა, სიდედრი თამარი, ბიძაშვილე დარეჯან, შოთა ხოშტარიები, ალბინა, აბელი პაპავები, მამიდა შვილი ჟუჟუნა ჭანტურია, დეიდაშვილები ბუტა, ბონდო, კ ჯაფარიძეები, ლევან, კოტე, ნუგზარ, ლიზა, ზოია დარსალ ბი, ირა ალანია, ცოლისდები გულნაზი, მიმოზა, ცოლისძმ ენვერი, იური ფილიპიები, ქვისლები ვაჟა გერგაია, გივი ბონია, ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვლადიმერ ილიას ძე ხოშტარია

პანაშვიდი 28 VI, დაკრძალვა 29 VI, სოფელ სუჯუნაში (აბაშის

საქართველოს პარლამენტი იუწყება, რომ პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარეს შალვა ნათელაშვილს გარდა ცვალა დეიდა

თამარ წიკლაური

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლები, ღრმა მწუხარე ბით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საგამოძიებო დარგის ღვა წლმოსილი მუშაკი

ზურაბ ორესტის ძე ცომაია

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

პირველად საქართველოში!!!
ფირმა „აისის“ ტურისტული სააგენტო

გთავაზობთ ერთკვირიან დაუვიწყარ მოგზაურობას ტაილანდში, ქალაქები ბანკოკი და პატაია.

თქვენ გელით უძველესი აზიური კულტურა, მომსახურების მაღალი დონე და საუკეთესო ხარისხის ნაწარმის ფართო არჩევანი.

რეისი სრულდება ავიაკომპანია „ეარ ჯორჯიას“ ტუ-154 ტიპის მოდერნიზებული თვითმფრინავით.

დაგვიკავშირდით: თავისუფლების მოედანი, ცეკავშირის შენობა, V სართული, ოთახი № 517. ტელეფონი: 99-05-98.

თბილისის № 1 სამშობიარო სახლთან არსებუ
მედიკო-ბიოლოგიური კოლეჯი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1995-96 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ბებიაქალის — არასრული და საშუალო სკოლის ბაზა — ქართული და რუსული სექტორი.

მედდის საქმე — არასრული საშუალო და საშუალო სკოლის ბაზა — ქართული და რუსული სექტო

აბიტურიენტები ჩაირიცხებიან გასაუბრების წესით.

საბუთები მიიღება ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 11 საათიდან 15 საათამდე.

სასწავლებლის მისამართია: ცოტნე დადიანის ქ. № 252 (№ 1 სამშობიარო სახლი, მეტრო „ნაძალადევი“), ტელეფონი: 66-11-68.

ყველაზე ხელსაყრელი საფასურის და შეღავათების მქონე, თბილისის ცენტრში მდებარე
საქართველოს ეროვნული სოციალურ-ტექნოლოგიური უნივერსიტეტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1995-96 სასწავლო წლისათვის დღისა და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

კომერცია და მენეჯმენტი — 50 დოლარი;

ფინანსები და კრედიტები (საბანკო საქმე, საბაჟო სამსახური) — 50 დოლარი;

ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ტექნოლოგია — (ღვინო, კონიაკი, ლუდი, არაყი და სხვა) — 60 დოლარი;

საკონსერვო წარმოების ტექნოლოგია (ხილ-ბოსტნეული, ხორცი და რძის პროდუქტები და ა. შ.) — 60 დოლარი;

გამოყენებითი ხელოვნება (ქსოვა, მოდელირება, ხე ჭრა და ა. შ). — 60 დოლარი;

სამართალმცოდნეობა (საერთაშორისო სამართალი, სისხლის სამართალი) — 100 დოლარი;

სწავლის ხანგრძლივობა 5 წელია.

უნივერსიტეტში საბუთების მიღება წარმოებს საერთოდ მიღებული წესით 1 ივლისიდან 15 აგვისტომდე.

ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების საფუძველზე.

მისამართი: თბილისი, ლამბაშიძის ქ. № 3, 188-ე სკოლა (ფილარმონიასთან, სამშობიაროს უკან), აგრეთვე, იმედაშვილის ქ. № 4, 123-ე სკოლა (გაგარინის მოედანთან).

ტელეფონები: 37-02-99; 22-53-21; 60-65-14.

უნივერსიტეტის დიპლომი გათანაბრებულია სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის დიპლომთან.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოგიაშვილი
ინდექსი 66484